# სარბიელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპორტული გაზეთი | გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან | პარასკევი, 6 ოქტომბერი 1995 № 64 (202) | ფასი 30 თეთრი

# მე ალიბი ნაღდი მაქვს...

სამშაბათს დასრულდა 9-თვიანი საგა. ლოს-ანჯელესის სასამართლოში გამართლდა ცნობილი ზანგი მობურთალყოფილი და ჰოლივუდის მსახიობი ოუ-ჯეი სიმფსონი, ვისაც ცოლყოფილის — ნიკოლ ბრაუნისა და ამისი კუროს — რონალდ გოლდმანის მკვლელობა ბრალდებოდა. სიმფსონი მყის გაათავისუფლეს. იგი შინაა ჩაკეტილი. დაიკითხა 113 მოწმე. ვექილებზე 10 მილიონი დოლარი დაიხარჯა. ტელევიზია მთელს მსოფლიოში გადასცემდა პროცესს. იგი ლამისაა „სანტა-ბარბარას“ ყაიდის სერიალად იქცა. ზანგები დღესასწაულობენ. საქმის გარჩევისას დადასტურდა, რომ ბრალდება ლოს-ანჯელესის რასისტული პოლიციის შეთითხნილი ყოფილა. ახლა ეს ხალხი მთელი მსოფლიოს თვალწინ გამოააშკარავეს. განაჩენის გამოცხადების შემდეგ სიმფსონის ვაჟმა საჯაროდ თქვა, ახლა კი შეეძლება პოლიციას, ჭეშმარიტ მკვლელს მიაგნოსო.



## ფეხბურთი

### საქართველოს ჩემპიონატი

მე-9 ტური. 4 ოქტომბერი

ზუგდიდი 5:3 ეგრისი
ტორპედო 0:0 ბათუმი
მარგვეთი 1:0 დინამო
შევარდენი 2:1 სიონი
კახეთი 2:1 გურია
ივერია 1:0 დურუჯი
დილა 1:1 სამტრედია
მეტალურგი 3:1 კოლხეთი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მარგვეთი | 9 | 8 | 0 | 1 | 30-5 | 24 |
| მეტალურგი | 9 | 7 | 0 | 2 | 20-9 | 21 |
| შევარდენი | 9 | 6 | 0 | 3 | 18-11 | 18 |
| სამტრედია | 7 | 5 | 2 | 0 | 23-9 | 17 |
| ტორპედო | 9 | 5 | 2 | 2 | 22-10 | 17 |
| კოლხეთი | 8 | 5 | 2 | 1 | 16-8 | 17 |
| დილა | 9 | 5 | 2 | 2 | 17-10 | 17 |
| დინამო | 7 | 5 | 1 | 1 | 17-4 | 16 |
| ბათუმი | 7 | 3 | 3 | 1 | 13-6 | 12 |
| ზუგდიდი | 8 | 3 | 0 | 5 | 18-24 | 9 |
| ივერია | 9 | 3 | 0 | 6 | 7-16 | 9 |
| კახეთი | 9 | 2 | 2 | 5 | 8-16 | 8 |
| ეგრისი | 9 | 1 | 1 | 7 | 10-24 | 4 |
| სიონი | 9 | 1 | 0 | 8 | 7-25 | 3 |
| გურია | 9 | 1 | 0 | 8 | 5-25 | 3 |
| დურუჯი | 9 | 0 | 1 | 8 | 0-28 | 1 |

რეპორტაჟი ზესტაფონიდან იხილეთ მეორე გვერდზე

1995 NIPPON

მსოფლიოს ჩემპიონატიდან ქართველი ძიუდოისტები თითო ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლით დაგვიბრუნდნენ: გიორგი ვაზაგაშვილი და დავით ხახალეიშვილი წლეულს მსოფლიო რანგის შეჯიბრების პირველი ლაურეატები გახდნენ საქართველოდან.
ახლა მათ და მათ მეგობრებს ელით ევროპის გუნდური ჩემპიონატი, რომელიც 15 ოქტომბერს სლოვაკეთში, ტრნავაში გაიმართება. ჩვენი ნაკრების შემადგენლობა ასეთია:

ნესტორ ხერგიანი (60)
გიორგი ვაზაგაშვილი (65)
გურამ მოდებაძე (71)
სოსო ლიპარტელიანი (78)
ივერი ჯიქურაული (86)
მევლუდ ლობჟანიძე (95)
დავით ხახალეიშვილი (+95)

ძიუდოისტთა მსოფლიოს ჩემპიონატის ამბებს მეშვიდე გვერდზე წაიკითხავთ

# 11 ოქტომბერი. საქართველო — ბულგარეთი

იხილეთ მესამე გვერდი

UEFA EURO96 England

იქამდე, VII შესარჩევ ჯგუფში ორი მატჩი გაიმართება: ხვალ ბულგარეთი ალბანეთს უმასპინძლებს, ზეგ — გერმანია მოლდოვას და შეიძლება ისეც მოხდეს, რომ ორივემ გაინაღდოს ფინალურ ეტაპზე გასვლა.

ჩვენები დღეს შეიკრიბებიან დიღმის ბაზაზე. თბილისს კი ჩამოვა, მაგრამ თემურ ქეცბაიას თამაში სათუოა: აეკ — სიონის თამაშში თასების თასზე თემურმა გოლის გატანისას ფეხი იტკინა, თამაში მაინც გააგრძელა და ტრავმა გაიმიზეზა.

მეორე ქართველი ლეგიონერი, გიორგი ნემსაძე კი თბილისში ნამდვილად კარგ ხასიათზე ჩამოვა: მისმა „ჰომბურგმა“ გერმანიის თასის მეოთხედფინალში გააღწია, რაშიც წვლილი გიორგიმაც შეიტანა გადამწყვეტი გოლის გატანით.



### ამასობაში

როგორც იქნა, გიო ქინქლაძის „მანჩესტერ სიტიმაც“ მოიგო! ოთხშაბათს ინგლისის ლიგის თასის მეორე წრის საპასუხო მატჩში პრემიერ ლიგის აუტსაიდერმა 4:0 სძლია „უაიკომბი“, ვისაც ორი კვირის წინ სტუმრად 0:0 ეთამაშა. როგორც შევიტყვეთ, ორი გოლი უკვე როსლერმა გაიტანა, ორივე ქინქლაძის პასებით. მოკლედ, „სიტიმ“ სეზონში პირველი გამარჯვება იზეიმა და იმედია, ბულგარეთთან თამაშის წინ გიოს ხასიათი გამოუკეთდა. საინტერესოა, რომ ამ წრეს პრემიერ ლიგის ოთხი გუნდი შეეწირა: ორი მატჩის ჯამში „ევერტონმა“ „მილუოლთან“ წააგო, „ჩელსიმ“ — „სტოკ სიტისთან“, „ნოტინგემ ფორესტმა“ — „ბრედფორდთან“, „მანჩესტერ იუნაიტედმა“ კი „იორკ სიტისთან“.

# ლიდერთა წყალბურთი ზესტაფონში

### მარგვეთი 1:0 დინამო

მარგვეთი: გვენცაძე, მალლაკელიძე, გურიელიძე, გაბრიჭიძე, ლონლაძე, ფოცხვერაშვილი, დ.კაკუბავა (ლანჩავა 80), ჩხეტია, ნიკლაური (უკლება 61(, კიკნაძე, ენდელაძე (გენაძე 89)
დინამო: ზოიძე, კალაძე, ლობჟანიძე, დიდავა, მაჭავარიანი, გოგიჩაიშვილი, კიკნაძე, ჯამარაული, კერძევაძე, კობიაშვილი, იაშვილი (დემეტრაძე 80)
1:0 კიკნაძე (86)
გაფრთხილება: ლონლაძე
მსაჯი: ო. გუნთაძე (ლანჩხუთი)

თბილისში ცოტა სხვანაირად, რაიონში კი მუდამ ასეა: თუ გუნდი ხეირიანად თამაშობს და მატჩებსაც იგებს, მაყურებელი საკმაოა, თუ არა... შარშან ზესტაფონის



ნოდარ კიკნაძის ერთადერთმა გოლმა „დინამოს“ პირველად წააგებინა

„მარგვეთი“ გავარდნის პირას რომ იყო, ტრიბუნებს თითო-ოროლა ფანატიკოსი თუ სტუმრობდა, იმ დღეს კი აქაური სტადიონის გადახურული ტრიბუნა ხალხს ვეღარ იტევდა... თუ რატომ გაივსო გადახურული და არა მეორე, გაგაუხურავი, ადვილი მისახვედრია — ზესტაფონში ისეთი თქეში წამოვიდა, ტროპიკული წვიმები მონაგონია. გულშემატკივრები მთელი მატჩის განმავლობაში გუგუნებდნენ, რამაც პირველი ეროვნული ჩემპიონატი გამახსენა, მე კი, თბილისის სტადიონებზე მაყურებელდანატრებულს, ამათი ხმა ლამის იავნანასავით ჩამესმოდა...

ზემოთ წვიმა ვახსენე. თბილისიდან გასულებმა, ზოგიერთმა ქურთუკიც კი არ წავიღეთ, აქაოდა, დედაქალაქში დარიაო. გორს გავცდით და, თითქოს ჯადოქარმა კვერთხი აიქნიაო, უცებ წამოწვიმა, თუმცა, ჯოდოქრის ოინები კიდევ გველოდა. წარმოიდგინეთ ჩვენი გაოცება, როცა ჩვენს მიკროავტობუსს მალე წინ... დავით ყიფიანი გადაუდგა. ზესტაფონში მიმავალ დინამოელებს თურმე „იკარუსი“ გაჰფუჭებოდათ. ბედად, გუნდს საკუთარი ავტომანქანებით რამდენიმე ერთგული გულშემატკივარი მიჰყვებოდა და ყიფიანმაც იმათ გაამყოლა ძირითადი ხალხი, სათადარიგოები და ექიმ-მასაჟისტები ბედადვე ზესტაფონისკენ მიმავალ ავტობუსს დაამგზავრა, თავად კი ორიოდე „ერთგულით“ გვერდდამშვენებული ჩვენს მანქანას დალოდებოდა. ჩვენ კი ისე გვქონდა გაანგარიშებული, ზედ მატჩის წინ უნდა ჩავსულიყავით. ჰოდა, ასეც მოხდა, ოღონდ თორმეტკაციან მანქანაში უკვე ოცნი ვისხედით. მოკლედ, მატჩს სულზე მივუსწარით. ყიფიანიც პრდაპირ გასახდელისკენ გაიქცა და მალე ფეხბურთიც, უკაცრავად, წყალბურთი დაიწყო. ტექნიკური უპირატესობის რეალიზებაზე ლაპარაკიც ზედმეტი იყო, ეს თამაში იმას უნდა მოეგო, ვისაც მეტი ჯანი ერჩოდა. ზესტაფონელთა თამაში წელს არ მენახა, ამიტომ სასიამოვნოდ გაკვირვებული დავრჩი, რადგან, შარშანდელი აუტსაიდერი და წლევანდელი ახალგამომცხვარი ლიდერი „დინამოს“ ტოლს არაფერში უდებდა. ის კი არა, მატჩის დასაწყისში „მარგვეთი“ ჯიქურ ეკვეთა „დინამოს“ კარს და, ჯერ ენდელაძემ, მერე კი საუკეთესოდ მოთამაშე ჩხეტიამ ლამის გოლებიც გაიტანეს. ამას კალაძის საზიფათოდ დარტყმა მოჰყვა, ხარიხას რომ გადაუფრინა, მერე კი თქეში მომძლავრდა და ნამდვილი წყალბურთი დაიწყო. კომიკურიც კი იყო, მინდორზე გაჩენილი ტბები რა მოულოდნელად აჩერებდნენ ბურთს და მოთამაშეებს მეტად უხერხულ მდგომარეობაში აგდებდნენ. ტაიმის შუაგულში კი მაინც გაიბრწყინა ტექნიკით ჯამარაულმა — ტბებიც გადაცურა, სამი მეტოქეც მოატყუა და მარცხნიდან ცაციათი ძლიერად დაარტყა — ზესტაფონელები მხოლოდ გვენცაძის ლამაზმა ნახტომმა იხსნა. მერე ფოცხვერაშვილმა იოთამ, კუთხურიდან ჩამოწოდებული ბურთი დაარტყა, მაგრამ ზოიძემაც ივარგა.

მეორე ტაიმში საერთო სურათი რას შეიცვლებოდა, ეგ იყო, მეტოქეებს ჯანი მოაკლდათ, საგოლე მომენტები კი მეტი შეიქნა. ჯერ კიკნაძე მარჯვნიდან შეიჭრა საჯარიმოში და მოჭრილად დაარტყა — ბურთი შორეულ ძელს მოხვდა, შემდეგ მარგველყოფილი ორჯერ ზედიზედ შევარდა საჯარიმოში, მაგრამ ორჯერვე გვენცაძემ ივარგა. ამის მერე ენდელაძის დარტყმა გააუვნებლა ზოიძემ. მატჩი მთავრდებოდა, მეტოქეები მაინც არ ცხრებოდნენ, მაყურებელსაც მეტი რა უნდოდა და 86-ე წუთზე კი „მარგვეთის“ ქომაგებმა აკი გაიხარეს: „დინამოს“ ცენტრალურმა მცველებმა დაახლოებით ისეთი რამ ჩაიდინეს, 1982 წლის ესპანეთის მსოფლიო ჩემპიონატზე შოტლანდიელმა მცველებმა რომ ქნეს — ერთმანეთს დაეჯახნენ და სრულიად უხიფათო სიტუაციაში მეტოქის თავდამსხმელი (მაშინ — შენგელია, ახლა — კიკნაძე) მეკარესთან პირისპირ დატოვეს. კიკნაძემ საჩუქარი შეიშნოვა და უძლიერესი დარტყმით კინალამ ბადე გახია 1:0!

ერთი სიტყვით, „მარგვეთმა“ გამოცდა ხუთიანზე ჩააბარა და ლიდერობა შეინარჩუნა. სასიამოვნოა, რომ ამ ჩემპიონატში „დინამოს“ კვლავაც ერთი კი არა, რამდენიმე გუნდი გაუწევს წინააღმდეგობას. თავად ვნახე, რომ ზესტაფონელები სულაც არ არიან ხელწამოსაკრავნი და თუ ეიფორიას არ მიეცნენ, ვფიქრობ, ასეთი თამაშით და ამ აზარტით საქართველოში ყველა გუნდს მოუგებენ. ავდარში მათ ნამდვილად დამაჯერეს, მაგრამ ახლა დარშიც ვნახოთ. დინამოელთა დარად, მეც მწყურია, „მარგვეთი“ ეროვნულ სტადიონზე ვიხილო, რათა ნათლად დავრწმუნდე, მათი ეს გამარჯვება შემთხვევით იყო, თუ თბილისშიც ღირსეულად იპაექრებენ. მოკლედ, ღმერთმა ხელი მოუმართოს „მარგვეთს“, რაკილა რამდენიმე თვეში ასეთ პროგრესს მიაღწიეს და ჩვენს უსახურ ჩემპიონატს აზარტი და დაძაბულობა შემატეს.

## ჩუბინიძე, რა თქმა უნდა, კმაყოფილია

გამარჯვებას, ბუნებრივია, პირველ ყოვლისა, მარგველთა მთავარ მწვრთნელს ზაურ ჩუბინიძეს ულოცავდნენ. ისეთი ხვევნა-კოცნა გაუჩაღეს, მასთან გასაუბრება ძლივს მოვახერხე.

**— თქვენი აზრით, იქონია თუ არა გავლენა ავდარმა შედეგზე?**

— ალბათ, იქონია. ასეთ პირობებში ერთი ბურთის გატანაც დიდი საქმეა. ამჯერად ბედმა ჩვენ გაგვიღიმა და უზომოდაც მიხარია — „დინამოსთან“ მოგება ხომ ყველასთვის საპატიოა. თავსხმის მიუხედავად, თამაში, ვფიქრობ, საინტერესო გამოდგა, იყო ნამდვილი ბრძოლა, მაღალი ტემპი და მოგების დიდი სურვილი ორივე მხრიდან. რაც მთავარია, თავისი ამოცანა ყველამ ბრწყინვალედ შეასრულა, განსაკუთრებით გამოვყოფდი მალლაკელიძეს, რომელმაც მთლიანადა გამოთიშა გოგიჩაიშვილი და ამით სტუმრებს დიდი კოზირი წაართვა.

**— სეზონის წინ თუ ელოდით ასეთ წარმატებულ სტარტს?**

— გითხრათ სიმართლე, ნამდვილად არ ვფიქრობდი, ჩემპიონატს ასე კარგად თუ დავიწყებდით. მაგრამ ვითამაშეთ რამდენიმე შეხვედრა და დავინახეთ, რომ, თურმე შეიძლება ბრძოლა. სეზონის წინ ჩვენ სერიოზულად ვემზადებოდით, დიდ ყურდღებას ვაქცევდით ფიზიკურ მომზადებას და ამან შედეგი გამოიღო.

**— ლიდერობის ამბიციებიც გაგიჩნდებოდათ...**

— ხომ იცით, მადა ჭამაში მოდისო. როდესაც ვხედავთ, რომ შეიძლება წარმატებაზე ფიქრი, რატომ არ უნდა ვიბრძოლოთ უკეთესი ადგილისთვის?!

**— რომ დავაკონკრეტოთ, რომელ ადგილს უმიზნებთ?**

— სულ მცირე, ხუთეულში მოხვედრა გვსურს და თუ კარგად აეწყო საქმე, იქნებ სამეულსაც გამოვკრათ ხელი. ყოველ შემთხვევაში, ეს ნამდვილად არ გვაწყენდა.

**— გაკმაყოფილებთ „მარგვეთის“ თამაშის ხარისხი?**

— ძალიანაც მაკმაყოფილებს. ანდა, მაქვს კი უკმაყოფილების საბაბი? გუნდი კარგად თამაშობს, ლიდერია, აი, „დინამოსაც“ მოვუგეთ... რატომ არ უნდა ვიყო კმაყოფილი?! მე თუ მკითხავთ, ფეხბურთელები თავის შესაძლებლობაზე მეტსაც ავლენენ.

**— კი, ბატონო, „მარგვეთი“ ლიდერია, „დინამოსაც“ მოუგო, მაგრამ, თქვენი აზრით, შეიძლება ასეთი დონის გუნდით ევროპაში თამაში?**

— არა, არა მგონია. გაძლიერება რომ გვჭირდება, ფაქტია, ამას არც უნდა ბევრი ლაპარაკი. ჩვენ კი არა, ხომ ვნახეთ, ევროპაში ვერც ერთმა გუნდმა ვერ ივარგა. საქართველოში მაღალი დონის გუნდი ჯერ არც მეგულება. ამას თავისი მიზეზები აქვს. არ არის სათანადო პირობები, მატერიალური ბაზა, ეკონომიკური შესაძლებლობები... რომელი ჩამოვთვალო. მთავარი კი ის გახლავთ, თუ ქვეყანაში ვითარება უკეთესობისკენ შეიცვალა, მაშინ გუნდების მდგომარეობა უეჭველად გამოკეთდება.

**— „მარგვეთს“ თუ აქვს ლიდერის შესაფერისი პირობები?**

— ეს ჩვენი დიდი საწუხარი გახლავთ. გუნდს არ აქვს ბაზა — არც სავარჯიშო, [illegible] დიდ წარმატებაზე ფიქრი.

**— საპრიზო ადგილებისთვის ბრძოლაში მეტოქედ ვინ გესახებათ?**

— რა თქმა უნდა, „სამტრედია“ და „დინამო“ — ესენი პირველ რიგში, აგრეთვე, ბათუმი, ფოთი და ქუთაისი.

**— როგორ ახსნით იმ ფაქტს, რომ, შარშან არაფრით გამორჩეული გუნდი წელს ლიდერობს? თანაც, გუნდის შემადგენლობა, ფაქტიურად იგივეა.**

— მთავარი მაინც ის არის, რომ მოსამზადებელი პერიოდი ქობულეთში ნაყოფიერად გამოვიყენეთ, ყურადღება ფიზიკურ მომზადებაზე გვქონდა გამახვილებული. აგერ უკვე რამდენიმე ტური მოვიტოვეთ უკან და აშკარად ჩანს, ფიზიკურ კონდიციებში არ მოვიკოჭლებთ. გარდა ამისა, შარშანდელზე უკეთესია სათამაშო დისციპლინა. წარმატების საფუძველი სწორედ ეს ფაქტორებია, თორემ ფინანსური მდგომარეობა როგორიც შარშან იყო, თითქმის იგივეა დღესაც. მთელ ამ სიმძიმეს ჩვენი პრეზიდენტი ბატონი ვასილ ხაჭაპურიძე მარტო ზიდავს და კარგი იქნება, თუ მას რაიონის ხელმძღვანელებიც შეეშველებიან.

**— თუ შეიძლება, წლევანდელი ჩემპიონატი შარშანდელს შეადარეთ...**

— ჩვენი საქმისა გითხარით — უკეთ მოვემზადებთ, სხვებზე კი რა შეიძლება ითქვას? უკვე რამდენიმე გუნდს ვეთამაშეთ და ისინი შარშანდელზე უარესად გამოიყურებიან.

## არც ენდელაძეა უხასიათოდ



ჯერ „მეტალურგში“, შემდეგ კი სამტრედიაში ბედის საძიებლად წასულმა ზვიად ენდელაძემ ბოლოს ლუზა ზესტაფონში ჩაუშვა და როგორც აღმოჩნდა, წარმატებითაც. იმ სამი წლის მანძილზე, რომელიც მან „მარგვეთში“ გაატარა, გუნდის ერთ-ერთ ლიდერად იქცა და, რაც მთავარია, წელს ქართველი გოლეადორების შევიწროებაც დაუპირებია — 12 გატანილი ბურთით სათავეში უდგას ბომბარდირებს. ენდელაძეს „დინამოსთან“ გოლი არ გაუტანია — თბილისელი მცველები მას საიმედოდ მეურვეობდნენ — მაგრამ იგი არც სახელიან მეტოქეებს შეუშინდა და არც მათთან ბრძოლას გაურბოდა. ამიტომაც იყო, რომ თამაში დროზე ადრე, 89-ე წუთზე ფეხმტკივანმა დაამთავრა.

— აქამდე მაინცდამაინც ძლიერ მეტოქეებთან არ გვითამაშია და ჩვენი მიზანიც ეს იყო, საქართველოს ჩემპიონთან შეხვედრაში დაგვემტკიცებინა, რომ შემთხვევით არ ლიდერობთ. ეს შევძელით, ძალიანაც გავიხარეთ და ჩვენი ძალების რწმენაც შეგვემატა. თურმე შეიძლება ნებისმიერი მეტოქის დამარცხება. წარმოუდგენელი არაფერია, თუ თავს არ დაზოგავ და გამარჯვებისთვის ბოლომდე იბრძოლებ.

**— ზვიად, შენი ამპლუის მოთამაშეებისაგან განსხვავებით ბევრი გოლი გაგაქვს.**

**— ეტყობა, უფრო თავდასხმისაკენ მიგიწევს გული...**

— ამაზე აქამდე არც მიფიქრია, ვთვლი, რომ მწვრთნელმა ჩემზე უკეთ იცის, სად მათამაშოს. დამაყენებს იქ, სადაც უკეთ და სასარგებლოდ ვითამაშებ.

**— „მარგვეთს“ წელს დიდი ამბიციები გაუჩნდა...**

— კარგი გუნდია, მეგობრული და ერთი მიზნით შეკრული. ბუნებრივიც არის, წარმატებაზე რომ ვიფიქროთ.

**— ევროპაში რომ გახვიდეთ?**

— ვერ ვიტყვი, მთებს გადავაბრუნებთ-მეთქი, მაგრამ იქაც შეიძლება თამაში. მითუმეტეს, ვთქვი კიდეც, მეგობრული გუნდია. გამოცდილი ფეხბურთელები გვყავს და ერთმანეთს მოედანზე კარგად ვუგებთ.

**— მეგობრული გუნდი კი ხართ, მაგრამ ეს ხომ მაღალ კლასს არ ნიშნავს...**

— იმასაც ვამჩნევ, რომ თამაშიდან თამაშამდე უკეთ გამოგვდის ყველაფერი.

**— პარტნიორებიდან უკეთ რომელი გიგებს?**

— მიჭირს ვინმეს გამორჩევა. თავისუფლად შემიძლია იმის თქმა, რომ ყველა კარგად მიგებს. უამისოდ თორმეტ გოლს ვერ გავიტანდი.

**— ასეთი სტარტის შემდეგ საუკეთესო გოლეადორობაზეც არ იტყოდი უარს...**

— კი, ვფიქრობ ამაზე, მაგრამ რა ვიცი, რა იქნება — მივაღწევ, არ მივაღწევ... ღმერთმა უწყის.

**— შენ თვითონ თუ ელოდი ასეთ დასაწყისს?**

— არც ვფიქრობდი, ანდა როგორ ვიფიქრებდი, როდესაც სეზონის წინ გუნდიდან წასული ვიყავი. „მარგვეთში“ მაშინ გაურკვეველი ვითარება იყო. ბოლოს ჩვენი პრეზიდენტის ხელშეწყობით მაინც დავბრუნდი და მერე მოხდა ის, რაც თქვენც კარგად იცით. წამივიდა თამაში და ბედმაც გაგვიღიმა მეც და „მარგვეთსაც“. თუ ასე გავაგრძელეთ, სამეულში მოხვედრა არ უნდა გაგვიჭირდეს. ჩემპიონატი ისე კარგად დავიწყეთ, მგონი, ღმერთი ჩვენსკენ არის და არ გაგვწირავს. ეს რწმენა დღევანდელი თამაშის შემდეგ უფრო გამიძლიერდა. „დინამოსთან“ მოგება ყველა გუნდისთვის სასახელოა და, იმედია, უფრო დიდი წარმატებ[illegible]

## პრეზიდენტის ხათრი დიდი ძალაა

გასავარდნად განწირულ გუნდში პრეზიდენტად მისვლა დღევანდელ საქართველოში მართლაც გმირობის ტოლფასია. არადა, სწორედ ასეთი ნაბიჯი გადადგა წინა სეზონის ბოლოს „მარგვეთის“ ახლანდელმა პრეზიდენტმა ვასილ ხაჭაპურიძემ.. მისი უშუალო მეცადინეობით მაშინ „მარგვეთი“ უმაღლესი ჯგუფის დატოვებას გადაურჩა, წელს, სეზონის წინაც ვერ იყო ყველაფერი რიგზე. ამას გორში „დილასთან“ სასტარტო მატჩში წაგებაც დაერთო. მერე კი „სასტაული, ჩემო ბატონო“ — „მარგვეთმა“ ზედიზედ რვა მატჩი მოიგო და გათამაშების ცხრილის სათავეში მყარად დამკვიდრდა. მყარად-მეთქი, იმიტომ ვამბობ, რომ წინა წლების გამოცდილებით ვიცი: თუ შენი უახლოესი მდევარი თბილისის „დინამო“ არ არის, თავი ქუდში გაქვს, დროებით მაინც, ცხადია. სწორედ „დინამოსთან“ მოგებული მატჩის შემდეგ, პირდაპირ გასახდელში მოვნახე „მარგვეთის“ პრეზიდენტი.

**— ბატონო ვასილ, უპირველესად, მოგებას ვულოცავთ, მერე კი ამას გკითხავთ: თუ საიდუმლო არ არის, რომელ ადგილს გეგმავდით სეზონის წინ?**

— მილოცვისთვის გმადლობთ, რაც შეეხება ჩვენს გეგმებსა და იმედებს, სეზონის წინ რეალურად ვაფასებდით ჩვენს ძალს და ამიტომაც „მხოლოდ“ ხუთეულში მოხვედრა დავგეგმეთ.

**— ასეთი სტარტის მერე, თანაც მთავარი კონკურენტის დამარცხების შემდეგ, გეგმებს ალბათ „გადახედავთ“...**

— გარწმუნებთ, მაინც რეალისტებად ვრჩებით და მიუწვდომელს არ ვეპოტინებით.

**— ახალგაზრდობაში ფეხბურთი გითამაშიათ. გუნდში მოსვლამდე სად მუშაობდით?**

— სამშენებლო ორგანიზაციებში, ეკონომისტად.

**— ახლაც აგრძელებთ ამ საქმიანობას?**

— არა, განთავისუფლებული პრეზიდენტი ვარ.

**— წინა სეზონში რამ გადაგადგმევინათ ესოდენ სარისკო ნაბიჯი?**

— ტრაფარეტულად გეტყვით — ფეხბურთის სიყვარულმა.

**— რას უნდა მივაწეროთ „მარგვეთის“ წარმატებული სტარტი?**

— მხოლოდ და მხოლოდ მოთამაშეების ჩემდამი პატივისცემას. ჩვენ ახლა ფეხბურთელებს მინიმალურ პირობებს ვუქმნით, რა ვქნათ, რისი შესაძლებლობაც გვაქვს, იმას ვუხდით. ბიჭები ხედავენ, რომ ჩვენ, ხელმძღვანელები ძალ-ღონეს არ ვიშურებთ, რათა მათთვის ეს სახსრები გამოინახოს, ჰოდა, თავდაუზოგავადაც ამიტომ თამაშობენ. მოკლედ ასე ავხსნი ჩვენს ჩინებულ სტარტს.

**— გუნდში მოსვლისას თქვენი პერსპექტიული მიზანი უთუოდ ევროთასებზე გასვლა იქნებოდა. დავუშვათ და, მარჯვე სტარტს ფინიშიც ასეთივე მოჰყვა და „მარგვეთი“ ევროთასების საგზური მოიპოვა. რას აპირებთ, მერე, განა აქაური სტადიონი ანდა სასტუმრო შეეფერება ევროპულ დონეს?**

— ჩემი, როგორც კლუბის პრეზიდენტის მიზანი, რა თქმა უნდა, ევროთასებზე გასვლაა. როგორც ვიცი, „მარგვეთში“ ჩემს მოსვლამდე ერიხ ეპლე ყოფილა ზესტაფონში და სტადიონი ძალზე მოსწონებია, კოსმეტიკურადღაა შესალამაზებელიო, უთქვამს. თუ წელსვე მოვიპოვეთ ევროთასების საგზური, მაშინ, იცოცხლეთ, იმერლებს რომ სჩვევიათ, მთელი ზესტაფონი ისე დადგება ფეხზე და ყველაფერს მოევლება...

...გამომშვიდობებისას, ბატონმა ვასომ, როგორც იმერლებს სჩვევიათ, — არსად გაგიშვებთ, სუფრა გვაქვს გაშლილიო, კარგა ხანს გვეხვეწა აბა, რომელი ჭკუათამყოფელი წამოვიდოდა ასეთ ამინდში უქეიფოდ, მაგრამ — რედაქციაში გველოდნენ. იმერლებმა კი „დინამო“ მაინც წაიყვანს სუფრაზე და პატივიც კარგი სცეს. ნეტავი, იმ დროს, როცა საქართველოში ამგვარი წესად იქცევა...

მამუკა კვარაცხელია, მერაბ მამულაშვილი

V ტურის გამოტოვებული მატჩი,
30 სექტემბერი

**ზუგდიდი 1:5 დინამო**

ზუგდიდი: ნაყოფია, ახვლედიანი, ე. ბერიშვილი, თუთბერიძე, მიქაძე, კუტალია, კვარაცხელია, აფაქიძე, გაბედავა, ქაძანაია, ლ. ბერიშვილი
დინამო: ზოიძე, კალაძე, ლობჟანიძე, დიდავა, მაჭავარიანი, ანჩაბაძე (გამცემლიძე 51), კიკნაძე, კობიაშვილი, კერძევაძე, მუჯირი (ჩუხუა 75), იაშვილი
0:1 კერძევაძე (27), 0:2 იაშვილი (51), 0:3 (კიკნაძე (66), 0:4 ჩუხუა (78 ), 1:4 თუთბერიძე (80), 1:5 იაშვილი (86)
გაფრთხილება: აფაქიძე, ნაყოფია, თუთბერიძე, კიკნაძე
მსაჯი: ე. სილაგავა (თბილისი)

11 ოქტომბერი. ევროპის ჩემპიონატის VII შესარჩევი ჯგუფი. საქართველო — ბულგარეთი

# რაცა ღმერთსა არა სწადის...

რაც „ცათა შინ" გადაწყდება, ის „ქვეყანასა ზედა" განხორციელდება, ამიტომაც შეუძლებელი ამ ცოდვილ მიწაზე არაფერია. განგების ნებით, შესაძლოა საქართველოს ნაკრებმა ინგლისში, ევროპის ჩემპიონატზე ამოყოს თავი. ამისათვის ჩვენებმა ორივე დარჩენილი მატჩი უნდა მოიგონ ბულგარეთთან და მოლდოვასთან, გერმანიამ კი დიდი-დიდი ერთი ქულა უნდა გაახერხონ სამ დარჩენილ შეხვედრაში. 8 ოქტომბერს გერმანელები ან გაინაღდებენ ინგლისის საგზურს მოლდოვასთან გამარჯვებით, ან კვლავ იმედის ნაპერწკალს დაგვიტოვებენ, თუ შეხვედრა ფრედ დაასრულეს ანაც წააგეს. ხომ არ გაგიჟებულა ეს კაციო, უკვე იტყოდით, „ოდეს ყოფილა აქამომდე", გერმანელებს ისეთ საფეხბურთო მაჩანჩალასთან წაეგოთ, როგორიც მოლდოვააო. ზემოთაც ვთქვი და ახლაც გავიმეორებ — შეუძლებელი არაფერია. თუკი, ღმერთმა ქნას და, გერმანელებმა ამ და მომდევნო შეხვედრაში უელსთან ქულაზე მეტი ვერ აიღეს, ბოლო „ომი" ბულგარელებთან ექნებათ გადასახდელი. მწამს გერმანელთა საარაკოდ უდრეკი და ჟინიანი ხასიათისა, მაგრამ თუ ადამიანი ხარ, არ შეიძლება რაიმეს კომპლექსი არ გაგაჩნდეს. ვგონებ, ბულგარელებთან ორი ტრაგიკული მარცხის შემდეგ გერმანელებს მცირედით მაინც შეეყრებოდათ ბულგარეთის სინდრომი. ისინი ამ კომპლექსის უთუოდ დაძლევას ეცდებიან, რაც ხშირად კატასტროფით მთავრდება ხოლმე. თანაც ბულგარელებს ხომ ევროპის ჩემპიონატზე მოხვედრა უკვე განაღდებული აქვთ და ლაღად და თავის გემოზე იბურთავებენ.

რაც ზემოთ ვთქვით, უგზო-უკვლოდ ოპტიმისტი კაცის ნააზრევია, ცხადია. ახლა, მოდით, ობივატელური პრაქტიციზმით მივუდგეთ საქმეს და ისე განვიხილოთ ჩვენი შანსები. ამ თვალსაზრისით, ევროპის ჩემპიონატის VII შესარჩევ ჯგუფში ვასპარეზობ და ამითაც დიდად კმაყოფილი ვარ, თუ მოვიგეთ, ხომ კარგი, თუ არა, არც ამისთვის გადავიჭრი ვენებს — ეს ხომ მხოლოდ სამზადისია მომავალი ძლევამოსილი გამარჯვებებისთვის. ევროპის ჩემპიონატზე გაუსვლელობა ძლიერ არ დაგვადარდიანებს, მაგრამ მესამე ადგილის დასაკუთრება ურიგო არ იქნება. ახლა საქართველოს ნაკრები სწორედ მესამეზეა და თუ ყველაფერი ისე მოხდა, როგორც პრაქტიკოსები ფიქრობენ, ანუ ძლიერებმა მოიგეს და ბულგარეთ-გერმანია I-II ადგილებზე გავიდნენ, ჩვენ მესამე ადგილზე დასარჩენად ერთი ქულაც გვყოფნის, ოღონდაც მატჩში, რომელსაც ფრედ ვერ ვითამაშებთ, დიდი ანგარიშით არ უნდა დავმარცხდეთ.

მესამე შედეგი ასეთ ძლიერ ჯგუფში ნაღდად საშური რამაა, მაგრამმ ამაზე მეტის მიღწევაც რომ შეგვეძლო და ნაწილობრივ-თეორიულად ახლაც ძალგვიძს, ესეც ფაქტია.

ალბანეთი და უელსი 15 ნოემბერს ტირანაში პირისპირ გაარკვევენ, ვის ერგება IV ადგილი.

მოლდოველები ეცდებიან ბოლო ადგილს თავი დააღწიონ, ჩვენ კი — „შურისძიების გრძნობით" ანთებულებმა პირველ ოფიციალურ საერთაშორისო მატჩში დამარცხებისთვისფრე მაინც უნდა გავახერხოთ.

ერეკლე კიკილაშვილი

ეროვნული ნაკრების წევრთაგან კახა გოგიჩაიშვილი ერთ-ერთი იმათგანია, ვინაც მხოლოდ თბილისში მოლდოვასთან ნაგებული მატჩი გამოტოვა, დანარჩენ თამაშებში კი თანაგუნდელებთან ერთად ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის მთელი სიმძიმე გაინაწილა. კახა გამოცდილებითაც არ ჩამოუვარდება ნაკრების სხვა წევრებს — იმათგანია, საბჭოურ ჩემპიონატში რომ „მოასწრო" თამაში. სხვისი არ ვიცი, მაგრამ დღესდღეობით ეს ფეხბურთელი თავის ამპლუაში საქართველოში უძლიერესია და ეროვნულ ნაკრებში მარჯვენა ნახევარმცველის ადგილი დაჯავშნული აქვს. ნაკრების ხელმძღვანელობაც ნდობას უცხადებს. თითზე ჩამოსათვლელი დღეებიც და საქართველო ამჯერად ბულგარელ ფეხბურთელებს უმასპინძლებს. სწორედ ამ მატჩის შესახებ გავესაუბრეთ „დინამოსა" და ნაკრების ერთ-ერთ ნამყვან მოთამაშეს კახა გოგიჩაიშვილს.



# ბალაკოვის არ მეშინია

— ბულგარელებთან ნათამაშები პირველი მატჩი გავიხსენოთ...

— რა დიდი ხნის წინ ეს თამაში იყო?! სოფიაში ჩვენს ასეთ გამოსვლას არავინ ელოდა. რატომღაც სრულიად შეუბოჭავად ვითამაშეთ და ალბათ ვერავინ გამამტყუნებს, თუ ვიტყვი, რომ პირველ ნახევარში მეტოქე ბევრ საფეხბურთო ასპექტში დავჩაგრეთ. თემურ ქეცბაიას ორი, გიორგი ნემსაძეს კი ერთი საგოლე მომენტი ჰქონდათ. ამათგან ერთიც რომ გამოგვეყენებინა, არავინ უწყის, როგორ დამთავრდებოდა თამაში. მოკლედ, პირველი ორმოცდახუთი წუთი მასპინძლები საკმაოდ ვანერვიულეთ. მეორე ნახევარიც რიხიანად დავიწყეთ, მაგრამ დაცვაში ორი შეცდომა გაგვეპარა და... საერთოდ, ყველამ იცის, რაოდენ ძლიერი გუნდი ჰყავთ დღეს ბულგარელებს — სტოიჩკოვი, ლეჩკოვი, კოსტადინოვი, ბალაკოვი... ყველა ისინი მაღალი კლასის ფეხბურთელები არიან, კოსტადინოვი კი საოცრად ყისმათიანი მოთამაშეა — ჩვენთან მეორე ნახევარში შემოვიდა შეცვლაზე და ორი გოლი „გამოაცხო", იგივე გერმანელებთან მატჩშიც გაიმეორა და თითქმის უიმედო თამაში ამოქაჩეს, მაგრამ, ვიმეორებ, ათწუთიანი მონაკვეთის გარდა, მათ ჩვენზე უკეთ არ უთამაშიათ.

— შენს ფლანგზე, როგორც სოფიაში, ალბათ ახლაც ბალაკოვთან მოგიწევს შეხვედრა...

— პირველ მატჩში მარცხნიდან მარტო ბალაკოვი კი არა, სტოიჩკოვიც ხშირად უტევდა, მაგრამ ზაზამ იმ დღეს ცნობილ ხრისტოს სისხლი გაუშრო და ფეხის გაქნევის საშუალება არ მისცა. როცა გუნდი აგებს, პასუხისმგებლობა ყველა ფეხბურთელს ეკისრება, მაგრამ იმ დღეს მარცხნიდან ჩვენს კარს საფრთხე არ დამუქრებია. ვნახოთ, თუ მოვახერხებთ ამას თბილისში, თუმცა, მოგეხსენებათ, რევიშვილი ამჯერად ვერ ითამაშებს, არადა, მასთან საკმაოდ შეთამაშებული ვარ და უსიტყვოდ ვუგებთ ერთმანეთს, მაგრამ ბრძოლისათვის მაინც მზად ვიქნები და თუ ვითამაშე, ევროპაში ცნობილი სახელები ვერ შემაშინებს.

— კარსმომდგარ თამაშზე რას ფიქრობ, შესაძლებელია ბულგარელთა დამარცხება?

— ჩვენს ჯგუფში ყველაფერი გარკვეულია. ბულგარელებს და გერმანელებს ვერაფერი შეაჩერებს, ისინი უკვე ინგლისში თამაშებზე ფიქრობენ, მაგრამ ჩვენც ხომ უნდა დავამტკიცოთ ჩვენი... ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, პრესტიჟის ამბავიც არის. თანაც, ასეთ ძლიერ ქვეჯგუფში მესამე ადგილის დაკავება ურიგო შედეგი არ უნდა იყოს, მითუმეტეს, რომ ასეთი რანგის შეჯიბრში პირველად მივიღეთ მონაწილეობა. ყოველგვარი ფსიქოლოგიური ტვირთისგანაც თავისუფლები ვიქნებით. საერთოდ, არ არსებობს გუნდი, რომლის დამარცხებაც შეუძლებელია, თანაც ერთ მატჩში თუ ყველანი თავდაუზოგავად ვიბრძოლებთ და ჩვენს შესაძლებლობებს სრულად გამოვავლენთ, გამარჯვებაც მოვა. მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ ხელსაყრელი მომენტები. ერთი სიტყვით, შეუძლებელი არაფერია. თუ როგორ მოვახერხებთ ყველაფერ ამას, თერთმეტ ოქტომბერს გამოჩნდება.

— რა მიგაჩნია ბულგარელთა ძლიერ და სუსტ მხარეებად?

— ჩვენი მომავალი მეტოქე საკმაოდ ტექნიკურ და სწრაფ ფეხბურთს თამაშობს. ფიზიკურადაც ჩინებულად არიან მომზადებულნი. განსაკუთრებით ძლიერია ნახევარდაცვისა და თავდასხმის ხაზი. ჰყავთ ჩინებული დირიჟორი ლეჩკოვი, ხოლო სტოიჩკოვი, პენევი და კოსტადინოვი არაფრისგან საგოლე მომენტებს ქმნიან. რაც შეეხება დაცვას, აქ ნამდვილად არ არიან უნაკლონი და მათი ჯობნა სავსებით შესაძლებელია. სწორედ ეს ხაზი მიმაჩნია ამ გუნდის სუსტ მხარედ.

— შენთვის უცხო ხილი არც მარცხენა ფრთაზე თამაშია, „დინამოშიც" ხშირად იცვლი ადგილს მოედანზე...

— მე ფეხბურთელი ვარ და რასაც მწვრთნელი დამავალებს, ის უნდა ვაკეთო. თუ როგორ გამომდის ეს, გულშემატკივრებმა და სპეციალისტებმა შეაფასონ. ისე, მარცხნივ ალბანელების წინააღმდეგ ვითამაშე თბილისში, მაშინ გუნდში ძირითადის ბევრი მოთამაშე დაშავებული იყო. „დინამოში" კი სულ სხვაა, აქ მე არავითარი შეზღუდვა არ მაქვს. თამაშისას ხშირად ვიცვლი ფლანგებს, თავდასხმაშიც ვრჩები და დაცვასაც ვეხმარები, მოკლედ, სადაც სათამაშო ვითარება მოითხოვს, იქ უნდა ვიყო და ამის გაკეთებას მაქსიმალურად ვცდილობ.

— ეროვნული ნაკრების წევრებმა საკმაო გამოცდილება მიიღეთ. როგორ ფიქრობ, მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ციკლისთვის ეს საკმარისი იქნება?

— მართალია, ეს ციკლი ჯერ არ ჩამთავრებულა, მაგრამ ამ თამაშებმა უდიდესი გამოცდილება შეგვძინა. ჩვენი ნაკრები ხომ საშუალო ასაკით საკმაოდ ახალგაზრდულია. მოსფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი თამაშებისთვის საქართველო ხელწამოსაკრავი გუნდი ნურავის ეგონება, არცერთ გუნდს არ შევეპუებით. მანამდე ალბათ კიდევ ვითამაშებთ და ნაკრები კიდევ უფრო დალვინდება და შეთამაშდება. მოკლედ, ყველაფერი წინაა, მომავალში უფრო საინტერესო შეხვედრები მოგველის...

მამუკა ქვანტალიანი



# ქეცბაია. იქნება თუ არ იქნება?

დღეს საქართველოს ეროვნული ნაკრები დიღმის საწვრთნელ ბაზაზე საბულგარეთო მზადებას იწყებს. წინასწარი მონაცემებით, მწვრთნელები ასეთ შემადგენლობასთან აპირებენ მუშაობას: აკაკი დევაძე (როსტსელმაში), ირაკლი ზოიძე (დინამო), ბესიკ ბერაძე (სამტრედია), მურთაზ შელია (ვლადიკავკაზი), დიმიტრი კუდინოვი (არისი, კვიპროსი), გოჩა გუჯაბიძე (როსტსელმაში), გიორგი ჩიხრაძე (დონეცკის შახტიორი), გიორგი ლუდუშაური (ზალმრორი, გერმანია), კახა გოგიჩაიშვილი (დინამო), გიორგი ნემსაძე (ჰომბურგი), თემურ ტუღუში (ბათუმი), მიხეილ ყაველაშვილი (ვლადიკავკაზი), არჩილ არველაძე, შოთა არველაძე (ტრაბზონსფორი), გორგი ქინქლაძე (მანჩესტერ სიტი), გიორგი კილასონია (ლოკომოტივი, სანკტ-პეტერბურგი), დავით ჯანაშია (სამტრედია).

თემურ ქეცბაიამ თასების თასის მერვედფინალში, აეკ — სიონის მატჩში ფეხი დაიშავა და მისი თამაში სათუოა.

ახალგაზრდულმა ნაკრებმა იქვე, კალათბურთელთა ბაზაზე გუშინ დაიწყო შეკრება. ოლიმპიელთა შემადგენლობა ასეთია: დავით ჯანელიძე (მრეტები), დავით გვარამაძე (ივერია); ზვიად ჯელაძე, ვალტერ გუჩუა (სამტრედია), ალექსანდრე რეხვიაშვილი, მამუკა ბუცურეიშვილი, დავით ჩალაძე (მეტალურგი), ამირან მუჯირი (ბათუმი), მამია ჯიქია (ლინცერი, ავსტრია), დავით კარიაული, პაატა ჯინჭარაძე (მორკინალი), გიორგი კიკნაძე, ლევან კობიაშვილი, გივი დიდავა, ლევან ხომერიკი, გიორგი დემეტრაძე (დინამო), გიზო ჯელაძე (შევარდენი).

ეროვნული ნაკრებების შეხვედრას წარუძღვებიან შვეიცარიელი მსაჯებ: ურს მაიერი, ზვიანკო პოპოვიჩი, ერნსტ ფელდერი და კურტ ცუპინგერი (სათადარიგო). ახალგაზრდების თამაშს ფინელები იმსაჯებენ: მიკო ვუორელა, ინგვე სიობლომი და ვილე მანტრე.

# საფეხბურთო ტოტალიზატორი ლაპლას-ტოტო

**მატჩების სია — ტირაჟი № 03**

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | 15.10 | ატალანტა — ინტერი | იტ. ჩემპ. |
| 2 | 15.10 | ვიჩენცა — ბარი | იტ. ჩემპ. |
| 3 | 15.10 | მილანი — იუვენტუსი | იტ. ჩემპ. |
| 4 | 15.10 | ბარსელონა — ატლეტიკი | ესპ. ჩემპ. |
| 5 | 15.10 | ატლეტიკო — დეპორტივო | ესპ. ჩემპ. |
| 6 | 15.10 | კიოლნი — ლევერკუზენი | გერმ. ჩემპ. |
| 7 | 15.10 | შეფილდი — მიდლსბრო | ინგლ. ჩემპ. |

**№ 01 ტირაჟის შედეგები:**

1. 1-1 2. 1-0 3. 0-0 4. 4-0 5. 1-1 6. 5-0 7. 1-0

მოგებები: ხუთი მატჩი — 23 ლარი (9 ვარიანტი), ექვსი მატჩი — 202 ლარი (1 ვარიანტი), შვიდი მატჩი — ვერავინ გამოიცნო. **JACK POT** — 252 ლარი გადადის შემდეგ ტირაჟში

ბილეთები იყიდება მეტროს სადგურებთან (ში). რეგისტრაციის ბოლო ვადაა 14 ოქტომბერი (ჩათვლით). ბილეთის (2 ვარიანტი) ფასი 30 თეთრი.

**თამაშის წესები**

1. ტოტალიზატორის არსი მდგომარეობს იმაში, რომ მოთამაშემ სწორად გამოიცნოს შემოთავაზებული ფეხბურთის მატჩების ანგარიშები (ძირითადი დრო).
2. მატჩების სია განისაზღვრება შვიდი მატჩით და ცხადდება ტირაჟის ანონსში.
3. როგორც წესი, ჩატარდება კვირაში ერთი ტირაჟი.
4. კონკრეტულ ტირაჟში მონაწილე ბილეთების რეგისტარცია წყდება წინასწარ გამოცხადებულ ვადაში, მაგრამ არა უგვიანეს ტირაჟში მონაწილე პირველი მატჩის ჩატარებისწინა დღისა.
5. როგორც წესი, მოგებისათვის აუცილებელია ხუთი, ექვსი ან შვიდი მატჩის ანგარიშის გამოცნობა. ინფორმაცია იმის შესახებ, თუ კონკრეტულ ტირაჟში რამდენი მატჩის ანგარიშის გამოცნობა უზრუნველყოფს მოგებას, ცხადდება ტირაჟის ანონსში.
6. მოგების ოდენობა განისაზღვრება შესაბამისი კატეგორიის საპრიზო ფონდის ფარდობით ამ კატეგორიის მოგებული ბილეთების რაოდენობასთან.
7. იმ შემთხვევაში, თუ შვიდი (ან ნაკლები) ანგარიში ვერავინ გამოიცნო ამ კატეგორიის (კატეგორიების) საპრიზო ფონდი გადადის და ემატება შემდეგი ტირაჟის საპრიზო ფონდს (JACK-POT).
8. მატჩების ნუმერაცია ბილეთში შეესაბამება მატჩების ნუმერაციას ტირაჟის ანონსში.
9. ბილეთი შედგება ორი ნაწილისაგან, რომლებიც უნდა შეივსოს ერთნაირად. რეგისტრატორის მიერ დამოწმებული ნაწილი **A** მიეცემა მოთამაშეს, ხოლო ნაწილი **B** რჩება რეგისტრატორთან. ბილეთების შევსებისას ყოველგვარი გადაკეთება და შესწორება დაუშვებელია. ამასთან, ბილეთებში შევსებული ანგარიშები უნდა ეწეროს მკაფიოდ, გამოკვეთილად და გასაგებად. იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე ციფრის წაკითხვა გამოიწვევს კამათს, შესაბამისი მატჩის ანგარიში ჩაითვლება არაგამოცნობილად. პასუხისმგებლობა ბილეთის სწორად შევსებაზე ეკისრება მოთამაშეს. არასწორად შევსებული ბილეთები (ვარიანტები) გათამაშებიდან მოიხსნება ღირებულების აუნაზღაურებლად.
10. იმ შემთხვევაში, თუ მატჩი არ ჩატარდა (გადაიდო ან სხვა მიზეზით), ან ჩაიშალა (არ დამთავრდა) ან შეიცვალა მასპინძელი გუნდი — მოთამაშეებს შესაბამისი მატჩის შედეგი ჩაეთვლებათ გამოცნობილად, მიუხედავად მითითებული ანგარიშისა. თუ ასეთი მატჩების რაოდენობა ერთ ტირაჟში გადააჭარბებს სამს, მაშინ თითოეული (ყველა) ზემოჩამოთვლილი კატეგორიის მატჩის ანგარიშად ჩაითვლება 0-0. იმ შემთხვევაში, თუ მატჩის შედეგი დაფიქსირდა — გაპროტესტება მხედველობაში არ მიიღება.
11. კონკრეტული ტირაჟის კონკრეტულ მატჩზე (მატჩებზე) შეიძლება გამოცხადდეს „გაყიდვა". შესაბამისად, მოთამაშეს ეძლევა საშუალება ანგარიშის მითითების ნაცვლად „იყიდოს" მატჩი, რის შედეგადაც ამ მატჩის ანგარიში ჩაითვლება გამოცნობილად. ერთ ტირაჟში „გაყიდული" მატჩების რაოდენობა ვერ აღემატება სამს. ფასები გამოცხადდება ანონსში. მოთამაშე მატჩის „ყიდვის" საფასურს გადაიხდის ბილეთის ჩაბარებისას, ხოლო ბილეთის შესაბამის უჯრებში ციფრების ნაცვლად ხაზავს ჯვრებს X:X.
12. მოგებები გაიცემა ტირაჟის ბოლო მატჩიდან ერთი თვის განმავლობაში მისამართზე: ხეთაგუროვის 3, მე-3 სართული, ფირმა „ესკიზი".
ტელ: 95-21-40
13. მოგებები გაიცემა წარდგენილი **A** ნაწილის საფუძველზე, რომელზეც აუცილებლად უნდა იყოს რეგისტრატორის ხელმოწერა და რეგისტრაციის თარიღი.

# ქინქლაძის ბუცები ის იარაღი შეიძლება აღმოჩნდეს, „სიტის“ სეზონის დასაწყისის გასაჭირიდან რომ გამოიყვანს

ეროვნული ბიბლიოთეკა

„როგორა ხარ?“ — ბრიტანეთში ოთხთვიანი მივლინებიდან დაბრუნებულს ახლობლები თუ უბრალოდ ნაცნობები, რასაკვირველია, პირველად ამ კითხვით მომმართავდნენ. ტრადიციულსავე პასუხს — არა მიშავს რა — მეორე კითხვად ან „რამ ჩამოგიყვანა?“ ანაც „ჩვენი ბიჭი რას შვრება?“ მოსდევდა. „ჩვენ ბიჭში“, რა თქმა უნდა, გიო ქინქლაძე იგულისხმებოდა.

„ისევ ლუდის სმა?! ვერაფრით ავუხსენი ამათ, რომ ერთი კათხაც კი წონაში იმდენს მმატებს, სამი დღე დამჭირდება დასაკლებად“ — მითხრა გიომ, ვისაც ლამისაა, მეც „ქინქი“ დავუძახო, გასულ ოთხშაბათს. წინა დღეს ლივერპულში ვლადიკავკაზის „სპარტაკის“ თამაშზე ერთად წავედით, მერე შელია, ყაველაშვილი, რევიშვილი, თეთრაძე და გრიშიკაშვილი აეროპორტამდე მივაცილეთ და უკვე ღამის ორი საათი იყო, გიოს საცხოვრებელს, მანჩესტერიდან ოცი წუთის სავალზე მდებარე საუცხოო „მოთრემ ჰოლ ოტელს“ რომ მივაღწიეთ. მეორე დილით მე გლაზგოში წასვლა მქონდა დაგეგმილი, გიოს კი, ჩვეულებრივ, დილის ვარჯიში ელოდა, მაგრამ... „ვარჯიში დღეს საერთოდ არ გვექნება, სხვა ღონისძიება გველის“ — შეატყობინეს ტელეფონით. „ღონისძიება“ ლუდის ბარში, იქაურად პაბში, შეკრება და გვარიანი სმა ყოფილა. ალან ბოლმა, სხვა რომ ველარაფერი მოიფიქრა, ასე გადაწყვიტა მარცხიანი სერიის შეჩერება. ერთ მუშტად უნდა შევიკრათო — უთქვამს. იმ სალამოს მე უკვე შოტლანდიაში ჩამოსულ ბათუმელთა შორის ვიყავი და არ ვიცი, როგორ ჩაიარა „მანჩესტერ სიტის“ ორიგინალურმა ღონისძიებამ, მაგრამ ბოლს რომ უნდოდა, ისეთი შედეგი რომ ვერ გამოიღო, ფაქტია: „სიტიმ“ ზედიზედ მერვე თამაში წააგო, ამჯერად „ნოტინგემთან“, თანაც დიდი ანგარიშით 0:3.

„ტოტენჰემთან“ პირველი მატჩის შემდეგ, 1:1 რომ დამთავრდა, „მანჩესტერ სიტის“ მე-7 ნომერმა პრესაში იმისთანა ქება დაიმსახურა, ბერხკამპსა თუ მისთანა ბობოლა ვარსკვლავებს რომ შეშურდებოდათ. შეტიუზი და ბესტი, ერთად აღებულიო — წერდა „თაიმსი“. მერე და მერე, „სიტის,“ საქმეები რომ უკან წავიდა, რასაკვირველია, ასეთი რეცენზიები აღარ ყოფილა, მაგრამ რომ ქინქლაძე დიდად პერსპექტიული და ნიჭიერი ფეხბურთელია და, უბრალოდ, ძალიან სუსტი გუნდის გადამკიდე ვერ ახერხებს თავისი თამაშის ჩვენებას, ყველა აღიარებს. მე, მაგალითად, დარწმუნებული ვარ, რომ „ქინქი“ ამ კლუბში კონტრაქტით გათვალისწინებული სამი წელი ნამდვილად არ დარჩება — ბოლოსდაბოლოს, ფრენსის ლი ორმაგ ფასში გაყიდის ქართველ ვარსკვლავს, ვისაც ბევრმა უფრო ძლიერმა კლუბმა დაადგა თვალი. ერთი კია: გიომ ერთი დიდი საქმე უკვე გააკეთა: გაზეთების სპორტულ გვერდებსა თუ ტელევიზიის სპორტულ გადაცემებში „ჯორჯიას“ რომ წერენ ან იტყვიან, ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკააო — აღარავინ განმარტავს. შედარებისთვის გავიხსენებ, რომ შევარდნაძეზე თავდასხმამ ერთობ ძლიერი რეზონანსი გამოიწვია: ჩვენებური 106-ის ტიპის მუსიკალურმა რადიოსადგურებმაც კი შეწყვიტეს ღიღინი და ეს ამბავი აცნობეს მსმენელს, მეორე დილით კი უკლებლივ ყველა გაზეთის პირველ გვერდზე თბილისში მომხდარზე იყო საუბარი, მაგრამ აქ „ჯორჯიას“ განმარტებები აზლდა — ყოფილი საბჭოთა (ან რუსეთის) რესპუბლიკააო. გიოს წყალობით ინგლისში მყოფ ქართველს დიდი ახსნა აღარ სჭირდება — ქინქის სამშობლოდან ვარ-თქო — უთხარით დაინტერესებულს და ისიც ყველაფერს მიხვდება.

მოკლედ, „ჩვენი ბიჭი“, გუნდის წარუმატებელი თამაშის მიუხედავად, თავს კარგად გრძნობს, გუნდელებზე მაღალ შეფასებას თითქმის ყოველთვის იმსახურებს და თავის პატარა სამშობლოს სახელს უმკვიდრებს. დღეს გიო კარგა ხნის განშორების შემდეგ თბილისში ჩამოდის, რათა ბულგარეთის ნაკრებთან შესახვედრად მოემზადოს, 14 ოქტომბერს კი „სიტის“ შემადგენლობაში წლის მატჩი ელის „მანჩესტერ იუნაიტედთან“. თუ რატომ „წლის მატჩი“, შემდეგ წერილში მოგახსენებთ, ამჯერად კი ერთ-ერთ ინგლისურ ჟურნალში გამოქვეყნებულ წერილს გაეცანით.

ზურაბ მეძველია

ის, შესაძლოა, გულიტის, ჟინოლას და ბერხკამპის მსგავსად ზარ-ზეიმით არ ჩამოსულა, მაგრამ აშკარაა, რომ გიორგი ქინქლაძეს თავის არსენალში ყველა იარაღი აქვს საიმისოდ, მათსავით დიდი სახელი რომ დაიგდოს. ახალგაზრდა ნახევარმცველის ხელმოწერა „სიტის“ კონტრაქტზე შესაძლოა მოულოდნელობად მოგჩვენებოდათ, მაგრამ სინამდვილეში მოლაპარაკებები მთელი გასული სეზონის უდიდესი ნაწილის განმავლობაში მიმდინარეობდა. გიორგის პროგრესზე ევროპულ წყაროებში გამოქვეყნებული წერილები ფრენსის ლის უბიძგებდნენ თბილისის „დინამოსთან“ დაუფარავად ეწარმოებინა მოლაპარაკებები. შედეგად ქართული გუნდი დათანხმდა იმ პირობას, თუკი ამ მოთამაშეს გაყიდდნენ, უპირატესობას ჩვენ მოგვცემდნენ. ეს, ფაქტობრივად, კარში ფეხის შედგმა გამოვიდა, რადგან უელსის ნაკრების წინააღმდეგ ორმა საუცხოო თამაშმა დიდი კლუბების დაინტერესებაც გამოიწვია. 22 წლის ფეხბურთელის ამბების გამოძიება მათ ლამის იმ მომენტშივე დაიწყეს, კარდიფის „არმზ პარკზე“ გასულ ივნისს ქინქლაძემ ნევილ საუთჰოლს თავზე ბურთი რომ გადაუგდო და გოლი გაუტანა. მოთამაშე თავადაც აღიარებს, რომ ამ გოლმა მისი კარიერა შეცვალა. აქ მოხდა იშვიათი რამ, თბილისელებმა „სიტის“ პირი არ უტეხეს, გამოიჩინეს საფეხბურთო ერთგულება და ქინქლაძესთან პირველად მანჩესტერელები ალაპარაკეს. ფრენსის ლიმ ხელიდან არ გაუშვა შანსი და 2 მილიონ გირვანქად გარიგება შედგა. დიდი დავიდარაბის შემდეგ, გიორგი მანჩესტერში 14 ივლისს ჩაფრინდა. „ბოლმა ქინქი აიყვანა“ წერდნენ გაზეთები (ქინქი ინგლისურ ჟარგონზე უცნაურს, შერეკილს ნიშნავს) და მეორე დილასვე უმრავლესობამ იკითხა — ვინ არის ქინქი? ყველას ეგონა, რომ კონტრაქტს ხელი ვიღაც ძალიან უცნაურმა და საგანგებო კაცმა მოაწერა.

პლატ ლეინი, 24 აგვისტო, სავარჯიშო მოედანი. გიორგი და მისი თარჯიმანი პოლ ბლექსტოკი რუსულად ლაპარაკობენ ერთმანეთში. ვხვდები, რას უნდა გრძნობდეს გიორგი, რომელსაც ირგვლივ ამდენი ხალხი ახვევია და რაღაც უცნაურ ენაზე საუბრობენ. „სიტის“ ეს უკანასკნელი შენაძენი პოლს უყვება, თუ როგორ მოეწყო მანჩესტერში და მისი ინტონაციით ვხვდები, რომ აქ თავს კარგად გრძნობს.

„მართალია, აქ ცოტა ხნის ჩამოსული ვარ, თავს ისე ვგრძნობ, როგორც შინ“ — ამბობს ხმადაბლა მოსაუბრე ქართველი — „ერთი-ორი დღის შემდეგ თავს უკვე შინაურულად ვგრძნობდი, ალბათ იმიტომ, რომ აქ ყველა მეგობრულად და თბილადაა ჩემს მიმართ განწყობილი. კლუბში მომუშავე ადამიანები ძლიერ მეხმარებიან. მათი ძლიერ მადლიერი ვარ.“



ახალ ქალაქზე რას ამბობს? „რისი ნახვაც მოვასწარი, მანჩესტერი მშვენიერი ადგილი ჩანს, მომავალში მსურს, უკეთ გავეცნო აქაურობას“. ფაქტობრივად, თავის ლურჯ „ლევისში“ და თეთრ მაისურში გამოწყობილი გიორგი, თმის მისეული ვარცხნილობით ისედაც ტიპიურ მანჩესტერელ მამაკაცს ჰგავს... დღეს იგი ცხოვრობს სასტუმროში, რომელიც ძლიერ მოსწონს, მაგრამ უახლოეს მომავალში სახლის ან ბინის მოძიებას აპირებს. „იმედი მაქვს, რომ მალე დედაჩემი ჩამოვა და იდეალური იქნება, თუ იმ დღიდან ჩემი საკუთარი საცხოვრებელი მექნება.“ — ამბობს გიორგი. და მაინც, აშკარაა, რომ მას ენატრება სამშობლო, მეგობრები, ოჯახი და ამიტომაც დროის დიდ ნაწილს სასტუმროს ოთახში ტელეფონით საუბარსა და წერილების წერაში ატარებს. „ყველასთვის ძლიერ ამაღელვებელი იყო, სახლი რომ დავტოვე და მანჩესტერში წამოვედი — აღიარებს გიორგი — დედაჩემი თავს მშვიდად ვერ გრძნობს და ისე ვენატრები, რომ საკმარისია ყურმილში ჩემი ხმა გაიგოს, ტირილს იწყებს. მან იცის, რომ აქ ყველაფერი რიგზეა, მაგრამ დედათა უმრავლესობის მსგავსად მაინც ნერვიულობს.“

იგი ხშირად ამახვილებს ყურადღებას თავის სამშობლოზე. იმ ტერიტორიის სამხრეთ ნაწილში, რასაც ჩვენ ყოფილ საბჭოთა კავშირს ვუწოდებთ, მდებარეობს მთიანი საქართველო, რომელიც შავ და კასპიის ზღვებს შორისაა. „საქართველო ძლიერ ლამაზი ქვეყანაა — ამბობს გიორგი ამაყად — მშვენიერი პეიზაჟებით და მუდმივად თბილი ჰავით. მე დედაქალაქიდან, თბილისიდან ვარ. თბილისი დიდი ქალაქია, ხალხი მეტად სტუმართმოყვარეა, გულღია. თუ ოდესმე ვინმეს ესტუმრებით, ყველაფერს იღონებენ, რომ გასიამოვნონ, მეფესავით მოგეპყრობიან.“

აშკარაა, რომ საქართველოში ქინქის ბედნიერი ბავშვობა ჰქონდა. ფეხბურთზე შეშლილ ოჯახში დაბადებული, ხედავდა, რომ მამამისი ადგილობრივ „დინამოს“ ქომაგობდა. „მამაჩემის წინაშე ვალში ვარ — აღიარებს გიორგი — მან მასწავლა ფეხბურთის სიყვარული. სიამოვნებით მაგონდება, შაბათობით სტადიონზე რომ დავყავდი.“

მისი ინტერესი იზრდებოდა და თავის დინამოელ გმირებთან გაჯიბრება პატარა ბიჭს მოთხოვნილებად ექცა. „მგონი, ბურთის თამაში სიარულამდე ვისწავლე, შემდეგ ქუჩაში ამხანაგებთან ერთად ვთამაშობდი ხოლმე. მალე ხალხმა შენიშნა, რომ გარკვეული ნიჭი მქონდა და რვა წლიდან „ნორჩ დინამოელში“ მიმიყვანეს. ჩემი და მამაჩემის ოცნება ახდა.“

მისტერ ქინქლაძეს ათი წლის შემდეგ მეტი მიზეზი მიეცა საზეიმოდ. გიორგიმ თბილისის პირველი გუნდის უმაღლეს ეშელონს მიაღწია და ადგილობრივი გმირი გახდა. და მაინც, გიორგის კარიერის მწვერვალი კარდიფში „არმზ პარკზე“ უელსის კარში გატანილი ის გოლი იყო. „ჩემთვის ის თამაში ისტორიულია. იმ გოლმა ჩემი ცხოვრება შეცვალა, საქართველოს გარეთ გამიცნეს. ჩვენს ნაკრებს გამარჯვება სჭირდებოდა და ბედნიერი ვიყავი, რომ გოლი გავიტანე. ის, რომ კარდიფში გატანილი გოლი ჩემს გოლებს შორის ულამაზესი იყო, მის მნიშვნელობას ზრდის, მაგრამ მინდა ყურადღება გავამახვილო, რომ გუნდის წარმატება უფრო გამიხარდა, ვიდრე საკუთარი.“

უნდოდა საზღვარგარეთ წასვლა? ბედნიერი ვიყავი, რომ „დინამოში“ ვთამაშობდი. მაგრამ მზად ვიყავი, საზღვარგარეთიდან შეთავაზება მიმეღო. მე და „დინამოს“ პრეზიდენტმა ვისაუბრეთ ჩემს პერსპექტივაზე და დავასკვენით, რომ „სიტიში“ გადასვლა უპრიანი იქნებოდა.“



სხვათა შორის, ეს გიორგისთვის პირველი უცხოური კლუბი არ არის. ორიოდ წლის წინ მან ექვსი თვე გერმანიაში, „ზაარბრუკენში“ გაატარა. იქ ყოფნა ფეხბურთელისთვის უსიამოვნო გამოცდილება იყო. „გერმანიაში არ მომეწონა, ინგლისი მრავალ მიზეზთა გამო გაცილებით სჯობია.“ სჯობია ინგლისური ფეხბურთი გერმანულს ან ქართულს? „ძნელია მათი შედარება, რადგან ამ ქვეყნებში მეტად განსხვავებულ ფეხბურთს თამაშობენ. „დინამოში“ გაცილებით ტექნიკურ ფეხბურთს თამაშობენ, პასები შეუდარებლად ხშირია, მაგრამ ასეთი სისწრაფე და სიმკაცრე, როგორიც ინგლისშია, იქ არ არის. ვფიქრობ, რომ ინგლისის ლიგა ევროპაში ყველაზე საინტერესოა, რადგან აქაური სისწრაფეების გასაძლებად ფიზიკურად შესაბამისად უნდა იყო მზად. სწორედ ეს მჭირდება, ჩემი თამაში რომ დავხვეწო.“

რას ფიქრობს საკუთარ დადებით მხარეებზე? „ძნელია საკუთარ თავზე საუბარი — ამბობს გიორგი მორცხვად — ვცდილობ, ამას თავი ავარიდო. ვფიქრობ, კარგი პასების მიწოდება მეხერხება. სულ ეს არის, რასაც ვიტყვი, დანარჩენი თავად განსაჯეთ.“

შესაძლოა, თავად თავშეკავებულია, მაგრამ „სიტის“ ფანები სხვაგვარად სჯიან. მათ უკვე შეთხზეს რამდენიმე ქინქი-სიმღერა, ავტოგრაფის მოყვარულნი კი სულ გარს ახვევიან. უკვირს ასეთი ყურადღება? „დინამოშიც“ არ მაკლდა ყურადღება, მაგრამ ამას არ ველოდი.“

გიორგის და მისი ფანების საუბედუროდ, „სიტიმ“ სეზონი საშინლად დაიწყო. ფეხბურთელი მაინც ფილოსოფიურად მსჯელობს: „ეს მხოლოდ დასაწყისია. გუნდში ბევრი ახალგაზრდა ფეხბურთელია, რომლებსაც ერთად ხეირიანად არც კი უთამაშიათ. ასეთ დროს შედეგი დაუყოვნებლივ არ მოდის. ვფიქრობ, როდესაც რიტმში ჩავდგებით, საქმეები გამოსწორდება.“

მას სწამს მწვრთნელის ალან ბოლის: „მას უდიდეს პატივს ვცემ. სეზონის წინ მკაფიოდ განაცხადა, თუ როგორ სურს, ათამაშოს გუნდი. იგი მეტისმეტად პატიოსანი ადამიანია. თუ მას ვინმე მოსწონს, პირდაპირ ეუბნება, თუ არ მოსწონს, არც ამას მალავს. ჩემი აზრით, ის ძალიან კარგი მწვრთნელია და გუნდს სწორ გზაზე დააყენებს.“

თუმცა ენის არცოდნა ხელს უშლის, გიორგი ახალ თანაგუნდელებს დაუმეგობრდა, მეტადრე მასავით ახალწვეულს კიტ საიმონსს: „კიტი იმავე სასტუმროშია, სადაც მე, ორივენი ახალმოსულები ვართ და ამიტომ საერთო ენა გამოვნახეთ. ის კარგი ადამიანია და რაც აქ ვარ, ძლიერ მეხმარება.“

აპირებს გიორგი ინგლისურის სწავლას? „აშკარად მინდა ენის სწავლა, მაგრამ ალბათ საბოლოოდ მოწყობამდე დავიცდი. — შემდეგ იღიმება — მოედანზე რამდენიმე საჭირო სიტყვა უკვე ვისწავლე.“

## რას ამბობენ ქინქლაძეზე?

„ეს ბიჭი ლეტისიესავით არის. მიეცით პასი მოედნის მარჯვენა ნახევარზე, დანარჩენს თავად მოახდენს..

ალან ბოლი

„რა მშვენიერი პატარა მარგალიტი შეიძინეს „ლურჯებმა“ პატარა ქინქლაძის სახით... „მეინ როუდზე“ ხალხი ბავშვივით იყო აღტაცებული „ქინქის“ ბრწყინვალე თამაშით და მისი უნარით, ბარძაყების ერთი პატარა მოძრაობით გაანადგუროს მეტოქე.“

„მანჩესტერ ივნინგ ნიუზი“

„ის მართლა ფანტასტიკური ფეხბურთელია, რომლის ტექნიკაც ძლიერ განსხვავდება ინგლისელ ფეხბურთელთა დიდი უმრავლესობის ტექნიკისგან.“

უვე როსლერი

„როცა ბურთს ფლობს, შეუდარებელია, მას ვერაფრით წაართმევ, მაგრამ, ჩემი აზრით, თავად უნდა იმუშაოს მეტოქისთვის ბურთის წართმევაზე. ფიზიკურად უნდა გაძლიერდეს და ორთაბრძოლების მოგება ისწავლოს.“

აზა ჰარტფორდი

„მე უელსის ნაკრების შემადგენლობაში ვთამაშობდი საქართველოს წინააღმდეგ, როდესაც შინაც მოგვიგეს და სტუმრადაც. გიორგი ორივეჯერ საუცხოო იყო. პრემიერლიგას რომ მიეჩვიოს, გარკვეული დრო დასჭირდება, მაგრამ მისი ნიჭით დიდი შთაბეჭდილების მოხდენა არ გაუჭირდება.“

კიტ საიმონსი

„მან მეტი ილეთი იცის ვიდრე ტომი კუპერმა“.

ფრენსის ლი

## რუსეთი

# ზოგისა ბამბაც ჩხრიალებსო

XXVII ტური. სპარტაკი — კამაზი 2:0, ლოკომოტივი ნ.ნ. — ლოკომოტივი 0:2, დინამო-გაზოვიკი — ტორპედო 1:3, დინამო — ჩერნომორეცი 2:0, ურალმაში — ჟემჩუჟინა 4:3, როსტსელმაში — ცსკა 1:3, ტექსტილშჩიკი — სპარტაკ ალანია 0:1, კრილია სოვეტოვი — როტორი 3:3.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვლადიკავკაზი | 27 | 20 | 4 | 3 | 57-20 | 64 |
| ლოკომოტივი | 27 | 19 | 4 | 4 | 47-21 | 61 |
| სპარტაკი | 27 | 16 | 6 | 5 | 64-23 | 54 |
| ტორპედო | 27 | 16 | 6 | 5 | 38-25 | 54 |
| ცსკა | 27 | 15 | 5 | 7 | 52-29 | 50 |
| დინამო | 27 | 14 | 7 | 6 | 38-25 | 49 |
| როტორი | 27 | 11 | 6 | 10 | 60-44 | 39 |
| კამაზი | 27 | 9 | 7 | 11 | 31-28 | 34 |
| ურალმაში | 27 | 9 | 3 | 15 | 34-46 | 30 |
| ტექსტილშჩიკი | 27 | 8 | 6 | 13 | 33-37 | 30 |
| ჩერნომორეცი | 27 | 9 | 2 | 16 | 28-53 | 29 |
| ჟემჩუჟინა | 27 | 8 | 3 | 16 | 32-63 | 27 |
| ნ. ნოვგოროდი | 27 | 5 | 9 | 13 | 24-39 | 24 |
| კრ. სოვეტოვი | 27 | 5 | 8 | 14 | 32-58 | 23 |
| როსტსელმაში | 27 | 6 | 4 | 17 | 31-54 | 22 |
| გაზოვიკი | 27 | 3 | 6 | 18 | 28-64 | 15 |

რუსეთის საფეხბურთო სამყარო და თვით რუსეთის პრესაც კი ბოლოსდა „მოეგნენ გონს", თავში ხელი შემოიკრეს, „სპარტაკ ალანიას" ქებას თავი ანებეს და მის ჩაძირვას მიჰყვეს ხელი. რუსეთის ფეხბურთის მამები ცოცხალი თავით არაფერს თმობენ, ვლადიკავკაზელებს ზედიზედ, შეუსვენებლად ათამაშებენ მატჩებს, თუმცაღა მანამდე ცესკას, „სპარტაკს", „კამაზს" და სხვა გუნდებს ნაკრებში ფეხბურთელთა გაწვევის, ევროტურნირებისთვის უკეთ მომზადებისა და სხვა მიზეზთა გამო მატჩები უსიტყვოდ გადაუდეს. პრესა კი მართლაც უნამუსოდ იქცევა: დიდი ხანია, რუსეთის ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელთა რიგებიდან შეგნებულად გააქრეს ქართველები, რასაც იმსახურებენ, ერთით, ნახევარი ქულით ნაკლებ ბალს უწერენ შესაბამის ამპლუაში კი რუსებს ამდენსავე უმატებენ და ასე იჩაგრება დევაძე — კრიუკოვისგან („ჟემჩუჟინა"), შელია — ხლესტოვისა თუ ციმბალარისაგან, ყაველაშვილი — შმაროვის, ანაც გარინისაგან. თუ ჩვენები მაინცდამაინც თავს გაიგიჟებენ, რუსული მედია 7,0 ბალს თუ გაიმეტებს. ყველა გაზეთში მოსკოვის „სპარტაკის" ქებაა, არადა, უკეთეს შემთხვევაში მოსკოველები მესამე ადგილს თუ მოიპოვებენ.

27-ე ტურიდან ნიჟნი ნოვგოროდში ადგილობრივი და მოსკოვის ლოკომოტიველების თამაშს ვუყურე (რუსეთის ტელევიზიამ სწორედ ეს მატჩი მიიჩნია ცენტრალურად და არა „ტექსტილშჩიკი" — „ვლადიკავკაზი"). თხუთმეტი წუთის მერე მივხვდი, რომ „რაღაც ისე ვერ იყო", მასპინძლები სტუმრებს ყველაფრის კეთების საშუალებას აძლევდნენ, კომენტატორი კი აღფრთოვანებული იყო მოსკოველთა ოსტატობით. მოკლედ, მოსკოვის „ლოკომოტივმა" 2:0 მოიგო. მე კი უცებ გამახსენდა, რომ მასპინძელთა მწვრთნელი, „ბორმონად" წოდებული ოვჩინიკოვი ადრე ვლადიკავკაზს ედგა სათავეში და იქიდან მეტად ნაწყენი წამოსულა, ორიოდ ტურის წინ კი ნიჟნი ნოვგოროდში „სპარტაკ-ალანიასთან" მატჩი კინაღამ ჩაიშალა. ახლა, ლამის იყო, ტრადიციული „პური და მარილი" მინდორზევე მიერთმევიათ მოსკოველთათვის. მოკლედ, სიომინმა მე-11 მატჩი მოიგო ზედიზედ.

ვლადიკავკაზელებს კი თოვლივით შემოადნათ 11 ქულიანი უპირატესობა და დროზე შემოირტყეს თავში ხელი. თუ „სპორტ-ექსპრესს" დავუჯერებთ, კამიშინში „მეტად საეჭვო" მატჩი გამართულა, მასპინძელთა სამ ფეხბურთელს (ძმები მოროზოვები და ჟაბკო) რუსეთის ჩემპიონატისათვის აქამდე უჩვეულოდ დაბალი შეფასება — 3,0 უწერიათ. მატჩის ბოლო წუთზე „კამიშინის" მწვრთნელი პავლოვი (იგი რომანცევის თანაშემწეა ნაკრებში), მას შემდეგ, რაც ყაველაშვილმა გარმაჯვების გოლი შეაგდო, გინებით წამომხტარა და გაუჩინარებულა. გუნდის უფროსმა შიშოვმა თქვა, ცეესკასთან, რომ „თამაშის მიცემა" დაგვაბრალეს, ეს ტყუილია, ახლა კი რამდენიმე ფეხბურთელზე ეჭვი გამიჩნდა — თამაში ხომ არ გაყიდეს, ამას ასე არ დავტოვებთ და გამოვიძიებთო. თავის მხრივ გაზაევმა თქვა, ნახეთ, მოსკოვის ლოკომოტივი წელს რამდენ მატჩს მოიგებს ზედიზედ. რუსეთის საფეხბურთო ლიგას არაფ ეჭაშნიკება პროვინციული გუნდის ჩემპიონობა და ყველანაირად გვძირავს — სწორედ მისი დამსახურებაა, 26 დღეში მე-6 მატჩს რომ ვთამაშობთ და ფეხბურთელები დაღლილობისგან ძლივს დგანან ფეხზეო. გაზაევის ნათქვამს იმასღა დავამატებთ, რომ კონტრაქტში ჩაწერილი ერთ-ერთი პუნქტის მიხედვით მან უკვე მეხუთე ტურია ინტერვიუს მიცემა აუკრძალა „სპარტაკ-ალანიას" მოთამაშეებს. ამ სკანდალურ მატჩზე საუბარი კი იმით დავამთავროთ, რომ ავადმყოფი ხაპოვის ნაცვლად კარში სოსო გრიშიკაშვილი იდგა და უკვე მეხუთედ შეინახა კარი მშრალად.

ამ ტურში კიდევ ერთმა ჩვენებურმა გამოიჩინა თავი: სამარელმა ზურაბ წიკლაურმა, რომელიც მატჩის დამთავრებამდე 25 წუთით ადრე გამოვიდა, შეძლო ის, რაც სამი საათის განმავლობაში ვერ შეძლეს „მანჩესტერ იუნაიტედის" ფორვარდებმა (შეგახსენებთ რომ ორიდან ერთი გოლი მეკარე შმაიხელმა შეაგდო თავით). „კრილია სოვეტოვი" 1:3 — აგებდა და ზურაბ წიკლაურმა ორი ზუსტი დარტყმით ჩადაარჩინა ქულა 3:3. ეს წიკლაურის მეშვიდე გოლია ჩემპიონატში. ალბათ ღირს ფიქრი, ოცი წლის ფეხბურთელის ჩვენს ახალგაზრდულ გუნდში გასინჯვის თაობაზე...

მიშა ჯიშკარიანის „კამაზმა" მოსკოვში „სპარტაკთან" 0:2 წააგო, მაგრამ ქართველ ფორვარდს იმ დღეს არ უთამაშია, რადგან ოთხმატჩიანი დისკვალიფიკაცია აქვს. დევაძის და გუჯაბიძის „როსტსელმაშმა" კი შინ წააგო ცეესკასთან 1:3. 0:2-ზე ლოსკოვმა პენალტი ვერ გამოიყენა, 0:3-ზე კი როსტოველთა მწვრთნელი სერგეი ანდრეევი მინდორზე გაიჭრა... როგორც მოთამაშე, ისე გაირჯა, რომ რვა წუთში თეთრი ფორმა შავად გადაექცა და კარიერის ბოლო მატჩში მაინც გაიტანა გოლი. წუთის მერე მსაჯის საფინალო სასტვენი გაისმა და ფეხბურთელებმა 40 წლის ანდრეევი ხელში ატაცებული გააცილეს ფეხბურთიდან...



## ნემსაძე მეოთხედფინალში

გერმანიის რეგიონალური ლიგის „ჰომბურგი" ქვეყნის თასზე საუცხოოდასპარეზობს. გუნდმა, რომელშიც სამი ქართველი, გიორგი ნემსაძე, ნიკა ჩხეიძე და რეზო არველაძე თამაშობს, პირველ ეტაპზე ბუნდესლიგის „ზანკტ პაული" დაამარცხა (2:1), შემდეგ სტუმრად სძლია „ზანდჰაუზენს" (2:1), სამშაბათს კი კვლავ ბუნდესლიგის გუნდს „მიუნხენ 1860"-ს უმასპინძლა და მასაც 2:1 მოუგო. თავიდან 22-ე წუთზე ჰომბურგელმა სლოვენმა სტანიჩმა გაიტანა, მაგრამ ბულგარელმა ბორიმიროვმა 47-ზე გაქვითა. მეორე გოლი 69-ე წუთზე ნემსაძემ შეაგდო და „ჰომბურგი" მეოთხედფინალში გაიყვანა. სენსაცია მოახდინა „ნიურნბერგმა", რომელიც „ვერდერს" მასპინძლობდა და მეოცე წუთისთვის 0:2-ს აგებდა (ბესჩასტნიხი 8, ბასლერი 20), მაგრამ დარჩენილ 70 წუთში ყველაფერი ყირაზე დადგა, „ნიურნბერგმა" სამჯერ შეაგდო და ბრემენის გუნდი თასის გათამაშებიდან გამოითიშა. სხვა თამაშები ასე დამთავრდა: ალტმარკ სტენდალი — მანჰაიმი 2:2 (5:4 პ) კაიზერსლაუტერნი — შალკე 1:0, უნტერჰახინგი — კარლსრუე 2:3, ფრაიბურგი — დორტმუნდი 0:1 (დ.დ.), დიუსელდორფი — ჰემნიცი 3:1, როტვაის ესსენი — ლევერკუზენი 4:4 (პ 1:4).

## პორტუგალია

გადადებული მატჩი. სპორტინგი — ბენფიკა 2:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სპორტინგი | 6 | 5 | 1 | 0 | 14-3 | 16 |
| ბოავიშტა | 5 | 4 | 1 | 0 | 9-2 | 13 |
| პორტუ | 5 | 4 | 1 | 0 | 8-2 | 13 |
| ბრაგა | 6 | 4 | 1 | 1 | 7-7 | 13 |
| მარიტიმუ | 6 | 3 | 1 | 2 | 13-6 | 10 |
| ბელენენსეში | 6 | 3 | 1 | 2 | 9-7 | 10 |
| ბენფიკა | 5 | 3 | 1 | 1 | 4-3 | 10 |
| გიმარაეში | 6 | 3 | 1 | 2 | 7-7 | 10 |
| ტირენსე | 6 | 2 | 2 | 2 | 9-6 | 8 |
| სალგეირაში | 5 | 2 | 2 | 1 | 8-5 | 8 |
| ფარენსე | 6 | 2 | 1 | 3 | 7-6 | 7 |
| ფელგეირაში | 6 | 1 | 4 | 1 | 6-5 | 7 |
| ეშტრელია ამად. | 6 | 2 | 1 | 3 | 6-6 | 7 |
| შავეში | 6 | 1 | 2 | 3 | 10-11 | 5 |
| უილ კისენტე | 6 | 1 | 1 | 4 | 5-10 | 4 |
| ლეცა | 6 | 1 | 1 | 4 | 4-10 | 4 |
| კამპომაიორენსე | 6 | 1 | 0 | 5 | 5-17 | 3 |
| უნიაუ ლეირა | 6 | 1 | 0 | 5 | 4-20 | 3 |

## ავსტრია

X ტური. კაზინო — რაპიდი 0:3, ადმირა ვაკერი — გრაცერი 0:2, შტურმი — ლინცერი 3:1, რიედი — ფორვარტსი — 3:1, აუსტრია — ტიროლი 1:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რაპიდი | 10 | 7 | 2 | 1 | 18-7 | 23 |
| შტურმი | 10 | 6 | 0 | 4 | 22-13 | 18 |
| გრაცერი | 10 | 5 | 2 | 3 | 19-13 | 17 |
| ლინცერი | 10 | 4 | 4 | 2 | 11-9 | 16 |
| რიედი | 10 | 4 | 3 | 3 | 17-16 | 15 |
| კაზინო | 10 | 4 | 3 | 3 | 14-15 | 15 |
| აუსტრია | 10 | 4 | 2 | 4 | 13-10 | 14 |
| ტიროლი | 10 | 4 | 1 | 5 | 16-14 | 13 |
| ადმირა ვაკერი | 10 | 2 | 3 | 5 | 10-16 | 9 |
| ფორვარტსი | 10 | 0 | 0 | 10 | 4-27 | 0 |

## პოლონეთი

XI ტური. სტალი — სტომილი 1:0, ზაგლებიე — ოლიმპია 3:0, პუტნიკი — ლკს 2:1, სოკოლი — რაკოვი 0:1, ლეხი — ამიცა 2:1, პოგონი — გურნიკი 0:0, გკს — შლიონსკი 0:0, ლეგია — ბელხატოვი 2:0, ვიძევი — სიარკა 2:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვიძევი | 10 | 9 | 1 | 0 | 26-5 | 28 |
| ლეგია | 11 | 9 | 1 | 1 | 26-9 | 28 |
| სტომილი | 10 | 5 | 2 | 3 | 11-9 | 17 |
| გკს | 10 | 4 | 4 | 2 | 11-7 | 16 |
| პოგონი | 11 | 5 | 1 | 5 | 12-13 | 16 |
| რაკოვი | 11 | 5 | 1 | 5 | 11-12 | 16 |
| პუტნიკი | 11 | 5 | 1 | 5 | 19-23 | 16 |
| სტალი | 11 | 5 | 1 | 5 | 13-18 | 16 |
| ზაგლებიე | 11 | 4 | 3 | 4 | 14-10 | 15 |
| ლეხი | 10 | 4 | 2 | 4 | 17-13 | 14 |
| გურნიკი | 11 | 3 | 4 | 4 | 13-7 | 13 |
| ოლიმპია | 9 | 4 | 1 | 4 | 13-13 | 13 |
| ამიცა | 11 | 4 | 1 | 6 | 11-14 | 13 |
| ლკს | 11 | 3 | 3 | 5 | 11-11 | 12 |
| შლიონსკი | 11 | 2 | 5 | 4 | 8-10 | 11 |
| სოკოლი | 11 | 2 | 2 | 7 | 11-24 | 8 |
| ბელხატოვი | 11 | 2 | 1 | 8 | 11-20 | 7 |
| სიარკა | 11 | 0 | 6 | 5 | 6-14 | 6 |

## ესპანეთი

VI ტური. ბეტისი — ატლეტიკი 0:0, ბარსელონა — ოვიედო 4:1, ვალენსია — რეალი 4:3, კომპოსტელა — რაიო ვალეკანო 1:0, სალამანკა — სარაგოსა 0:1, ტენერიფე — მერიდა 1:0, ალბასეტე — ვალიადოლიდი 4:2, რეალ-სოსიედადი — დეპორტივო ლა კორუნია 2:1, სანტანდერი — სელტა 2:1, ხიხონი — სევილია 3:1, ატლეტიკო — ესპანიოლი ნუხელ გვიან დამთავრდა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ესპანიოლი | 5 | 5 | 0 | 0 | 12-2 | 15 |
| ბარსელონა | 6 | 4 | 2 | 0 | 13-4 | 14 |
| ატლეტიკო | 5 | 4 | 1 | 0 | 12-1 | 13 |
| კომპოსტელა | 6 | 4 | 1 | 1 | 7-1 | 13 |
| ბეტისი | 6 | 3 | 3 | 0 | 7-3 | 12 |
| ატლეტიკი | 6 | 3 | 2 | 1 | 8-4 | 11 |
| ლა კორუნია | 6 | 3 | 1 | 2 | 12-7 | 10 |
| ხიხონი | 6 | 3 | 1 | 2 | 11-9 | 10 |
| ვალენსია | 6 | 3 | 1 | 2 | 9-9 | 10 |
| სარაგოსა | 6 | 3 | 1 | 2 | 4-6 | 10 |
| ალბასეტე | 6 | 3 | 0 | 3 | 11-13 | 9 |
| სოსიედადი | 6 | 2 | 1 | 3 | 9-7 | 7 |
| ოვიედო | 6 | 2 | 1 | 3 | 6-8 | 7 |
| რეალი | 6 | 1 | 2 | 3 | 12-11 | 5 |
| ვალიადოლიდი | 6 | 1 | 2 | 3 | 5-7 | 5 |
| სევილია | 6 | 1 | 2 | 3 | 6-9 | 5 |
| სელტა | 6 | 1 | 2 | 3 | 5-10 | 5 |
| ტენერიფე | 6 | 1 | 2 | 3 | 5-10 | 5 |
| სანტანდერი | 6 | 1 | 1 | 4 | 5-15 | 4 |
| მერიდა | 6 | 0 | 3 | 3 | 3-7 | 3 |
| რაიო ვალეკანო | 6 | 1 | 0 | 5 | 5-14 | 3 |
| სალამანკა | 6 | 0 | 2 | 4 | 1-7 | 2 |

## შვეიცარია

XIII ტური. არაუ — ლუცერნი 1:1, ლოზანა — ლუგანო 3:0, ბაზელი — იანგ ბოიზი 1:0, გრასჰოპერი — სიონი 2:0, ქსამაქსი — სერვეტი 1:0, სენტ-გალენი — ციურიხი 1:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გრასჰოპერი | 12 | 9 | 1 | 2 | 25-11 | 28 |
| სიონი | 13 | 8 | 1 | 4 | 22-7 | 25 |
| ქსამაქსი | 13 | 8 | 1 | 4 | 23-19 | 25 |
| ლუცერნი | 13 | 6 | 4 | 3 | 21-7 | 22 |
| სენტ-გალენი | 13 | 4 | 5 | 4 | 17-16 | 17 |
| ლოზანა | 13 | 4 | 4 | 5 | 16-15 | 16 |
| ბაზელი | 13 | 5 | 1 | 7 | 14-16 | 16 |
| არაუ | 13 | 4 | 3 | 6 | 19-19 | 15 |
| სერვეტი | 13 | 3 | 4 | 6 | 17-16 | 14 |
| ლუგანო | 12 | 3 | 4 | 5 | 13-21 | 13 |
| იანგ ბოიზი | 13 | 2 | 5 | 6 | 8-18 | 11 |
| ციურიხი | 13 | 1 | 5 | 7 | 8-23 | 8 |

## შოტლანდია

VI ტური. რეინჯერსი — მოზერველი 2:1, პართსი — აბერდინი 1:2, ფალკირკი — სელტიკი 0:1, პარტიკ თისლი — კილმარნოკი 1:1, რეით როვერსი — ჰიბერნიანი 3:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეინჯერსი | 6 | 5 | 0 | 1 | 11-2 | 15 |
| სელტიკი | 6 | 4 | 1 | 1 | 10-5 | 13 |
| აბერდინი | 6 | 3 | 1 | 2 | 10-8 | 10 |
| ჰიბერნიანი | 6 | 2 | 3 | 1 | 8-7 | 9 |
| რეით როვერსი | 6 | 3 | 0 | 3 | 8-9 | 9 |
| მოზერველი | 6 | 1 | 4 | 1 | 7-5 | 7 |
| პარტიკ თისლი | 6 | 1 | 4 | 1 | 7-7 | 7 |
| პართსი | 6 | 1 | 2 | 3 | 8-12 | 5 |
| ფალკირკი | 6 | 1 | 2 | 3 | 4-8 | 5 |
| კილმარნოკი | 6 | 0 | 1 | 5 | 2-12 | 1 |

## საფრანგეთი

XII ტური. ნანტი — მონაკო 2:2, ნიცა — მეცი 0:1, პსჟ — რენი 1:1, მარტიგი — ოსერი 1:2, გენიონი — ლანსი 0:1, ბორდო — ლიონი 1:1, ბასტია — ლე ავრი 1:0, სენტ-ეტიენი — მონპელიე 0:2, გინგამი — კანი 2:0, ლილი — სტრასბური 2:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მეცი | 12 | 8 | 4 | 0 | 14-6 | 28 |
| ლანსი | 12 | 7 | 4 | 1 | 18-9 | 25 |
| პ.ს.ჟ. | 12 | 7 | 3 | 2 | 22-11 | 24 |
| ოსერი | 12 | 7 | 1 | 4 | 23-13 | 22 |
| გენგამი | 12 | 5 | 5 | 2 | 10-6 | 20 |
| მონაკო | 12 | 6 | 2 | 4 | 19-17 | 20 |
| ბასტია | 12 | 6 | 1 | 5 | 17-16 | 19 |
| მონპელიე | 12 | 5 | 3 | 4 | 14-12 | 18 |
| ნანტი | 12 | 4 | 5 | 3 | 14-12 | 17 |
| ბორდო | 12 | 5 | 2 | 5 | 16-15 | 17 |
| სტრასბური | 12 | 4 | 4 | 4 | 17-13 | 16 |
| ნიცა | 12 | 4 | 4 | 4 | 12-12 | 16 |
| რენი | 12 | 4 | 2 | 6 | 13-18 | 14 |
| ლე ავრი | 12 | 4 | 2 | 6 | 6-17 | 14 |
| ლიონი | 12 | 3 | 4 | 5 | 13-16 | 13 |
| სენტ-ეტიენი | 12 | 3 | 3 | 6 | 16-19 | 12 |
| გენიონი | 12 | 2 | 4 | 6 | 9-18 | 10 |
| მარტიგი | 12 | 3 | 1 | 8 | 8-17 | 10 |
| ლილი | 12 | 2 | 3 | 7 | 9-16 | 9 |
| კანი | 12 | 3 | 0 | 9 | 15-24 | 9 |

## ინგლისი

VIII ტურის გვიანი შეხვედრა. საუთჰემპტონი — ვესტ ჰემი 0:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნიუკასლი | 8 | 7 | 0 | 1 | 17-4 | 21 |
| ასტონ ვილა | 8 | 5 | 2 | 1 | 12-4 | 17 |
| მანჩესტერ იუნ. | 8 | 5 | 2 | 1 | 16-10 | 17 |
| ლივერპული | 8 | 5 | 1 | 2 | 15-7 | 16 |
| ლიდსი | 8 | 5 | 0 | 3 | 14-9 | 15 |
| არსენალი | 8 | 4 | 3 | 1 | 10-5 | 15 |
| მიდლსბრო | 8 | 4 | 3 | 1 | 9-4 | 15 |
| ნოტინგემი | 8 | 3 | 5 | 0 | 14-9 | 14 |
| ტოტენჰემი | 8 | 4 | 2 | 2 | 14-11 | 14 |
| ჩელსი | 8 | 3 | 3 | 2 | 9-7 | 12 |
| უიმბლდონი | 8 | 3 | 0 | 5 | 13-16 | 9 |
| ქვინზ პარკი | 8 | 3 | 0 | 5 | 7-12 | 9 |
| შეფილდი | 8 | 2 | 2 | 4 | 8-11 | 8 |
| ბლექბერნი | 8 | 2 | 1 | 5 | 10-13 | 7 |
| ევერტონი | 8 | 2 | 1 | 5 | 9-13 | 7 |
| ვესტ ჰემი | 8 | 1 | 3 | 4 | 7-11 | 6 |
| საუთჰემპტონი | 8 | 1 | 3 | 4 | 7-14 | 6 |
| ქოვენთრი | 8 | 1 | 3 | 4 | 7-17 | 6 |
| ბოლტონი | 8 | 1 | 1 | 6 | 8-18 | 4 |
| მანჩესტერ სიტი | 8 | 0 | 1 | 7 | 3-14 | 1 |

**შვეიცარიაში** ფიფას ახალ-ახალი იდეები მოსდის. კერძოდ, ამ ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა ზეპ ბლატერმა განაცხადა, რომ მზად არის საკლუბო მსოფლიოს ჩემპიონატის პროექტი, ოღონდ 1998 წლის მსოფლიოს ჩემპიონატამდე მისი გამართვა ვერ მოხერხდება. ბლატერის თქმით, ზაფხულობით, როდესაც ეროვნული ჩემპიონატები არ იმართება, შესაძლებელია სხვადასხვა კონტინენტის 16 გუნდის თავმოყრა, რომლებიც ტიტულს გაითამაშებენ.

**საფრანგეთის** 1998 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალური საგზურისთვის ბრძოლაში 150-ზე მეტი ქვეყანა ჩაებმება. ზუსტი რიცხვი ჯერ უცნობია, მაგრამ გასულ შაბათს განაცხადების შეტანის ვადა ამოიწურა და ნათელი გახდა, რომ წინა პირველობის რეკორდი, 144 ქვეყანა, დამხობილია.

**ინგლისი, შვედეთი და რუსეთი** გახდნენ „ფეარ პლეის" კონკურსის გამარჯვებულები, რაც იმას ნიშნავს, რომ გაისად უეფას თასზე ეს ქვეყნები კუთვნილზე თითო გუნდით მეტს გაიყვანენ. ამგვარად, რუსები მომავალ სეზონში უეფას თასს ოთხი გუნდით შეუტევენ.

**უკრაინაში**, ყირიმის ერთ-ერთ საავადმყოფოში გარდაიცვალა კიევის „დინამოს" ყოფილი მეკარე ვიქტორ იურკოვსკი. 41 წლის იურკოვსკი, რომელიც 1977 წელს სსრკ ჩემპიონი იყო, ავტოკატასტროფას ემსხვერპლა.

**ინგლისში**, საკუთარ ბინაში გარდაცვლილი ნახეს სამოციანი წლების პოპულარული ფერადკანიანი ფეხბურთელი, წარმოშობით სამხრეთაფრიკელი ალბერტ იოჰანსენი. იოჰანსენმა „ლიდს იუნაიტედში" 172 მატჩი ითამაშა და 48 გოლი გაიტანა.

**შვედეთში** მუნიციპალური სამსახურების თანამშრომლები გაიფიცნენ, რამაც საფეხბურთო კლუბ „ჰალმსტადს" პრობლემები შეუქმნა. კერძოდ, თასების თასის მერვედფინალში „ჰალმსტადი" „პარმას" მასპინძლობს, მაგრამ მათი სტადიონი მუნიციპალიტეტის საკუთრებაა, შესაბამისად, თუ მანამდე გაფიცვა არ დამთავრდა, მომსახურე პერსონალის გარეშე მატჩი ვერ გაიმართება. გამოსავლის ძიებაში კლუბმა სათადარიგო ვარიანტად გეტებორგის სტადიონი შეიგულა, რომელიც მუნიციპალურ საკუთრებას არ წარმოადგენს.

**ბრაზილიაში** „ვიტორიასა" და „კორინთიანსის" (0:3) მატჩის შემდეგ გამარჯვებული გუნდის ფეხბურთელმა ვიტორმა მაისური გაიხადა და სუვენირად ტრიბუნაზე გულშემატკივრებს გადაუგდო. ქომაგები ერთმანეთის დასასწრებად მაისურისკენ გაიქცნენ და... ჩამოანგრიეს კედელი. დაფეთებული მოთამაშე ხალხის გადასარჩენად გაექანა, მაგრამ ღვთის მადლით არავინ დაშავებულა.

**დანიაში** გაიხსნა ახალი ტურისტული სააგენტო, რომლის ერთ-ერთი თანამფლობელი გახლავთ ბრაიან ლაუდრუპი. ლაუდრუპის მიერ ფირმის დასაარსებლად გაღებული თანხა უცნობია. ფეხბურთელმა განაცხადა, რომ არ სურს მხოლოდ თამაშით შემოფარგვლა. სააგენტო გაისად ინგლისში, ევროპის ჩემპიონატზე წაიყვანს ტურისტებს.

**შვედეთში** „გეტებორგს" მომავალი სეზონიდან ახალი მწვრთნელი ეყოლება — 37 წლის მატს იინგლადი, რომელიც დღეს „ჰალმსტადს" ხელმძღვანელობს. ფეხბურთელობისას იგი „ჰალმსტადის" შემადგენლობაში ორჯერ გახდა ქვეყნის ჩემპიონი.

**იორდანიის** თასის ფინალში „ალ ვაიბამ" მოუგო „ალ რამთას" 4:0. სამი გოლი გაიტანა ნაკრების თავდამსხმელმა ჯერიშ ტადროსმა, მეოთხე — ჯაფარ ჩამადმა.

**გამბიის** ჩემპიონი გახდა „ვალა დიანი". ამ კლუბის და ნაკრების თავდამსხმელმა თამშირ მანეჰმა 10 გოლით ლიგის საუკეთესო ბომბარდირობა მოიპოვა.

**სამხრეთ კორეის** ნაკრებმა უმასპინძლა „ბოკა ხუნიორსს" და წააგო 1:2. მასპინძელთაგან გაიტანა ჰამ 46-ე წუთზე, სტუმართაგან მაკალისტერმა (41) და მარტინესმა (89). ამ შეხვედრაში ითამაშა დიეგო მარადონამ, რომელსაც დისკვალიფიკაციის ვადა გაუვიდა.

# სარბიელი

## ტოტალიზატორი "CROCO"

შოტლანდიის ჩემპიონატის მე-7 ტური. 7 ოქტომბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| აბერდინი — რეინჯერსი | 2,5 | 2,5 | 2,0 |
| მოზერველი — რეით როვერსი | 1,4 | 3,0 | 4,0 |

ესპანეთის ჩემპიონატის მე-7 ტური. 7-8 ოქტომბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| რეალი — კომპოსტელა | 1,2 | 3,0 | 6,5 |
| დეპორტივო — რასინგი | 1,1 | 3,2 | 8,0 |
| ბეტისი — ბარსელონა | 1,7 | 2,8 | 2,9 |
| ესპანიოლი — სპორტინგი | 1,3 | 3,0 | 5,0 |
| სარაგოსა — ტენერიფე | 1,3 | 3,0 | 5,0 |
| ბილბაო — სევილია | 1,3 | 3,0 | 5,0 |
| ოვიედო — ვალენსია | 1,6 | 2,6 | 3,6 |
| სელტა — ატლეტიკო | 1,8 | 2,7 | 2,7 |
| მერიდა — ალბასეტე | 1,5 | 2,8 | 3,8 |
| რ. ვალეკანო — სალამანკა | 1,5 | 2,8 | 3,8 |
| ვალიადოლიდი — სოსიედადი | 1,8 | 2,7 | 2,7 |

ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები. 7-8 ოქტომბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| სომხეთი — ბელგია 1:0 | 1,8 | 3,6 | 2,1 |
| ბულგარეთი — ალბანეთი | 1,05 | 3,4 | 10,0 |
| გერმანია — მოლდოვა 0:2 | 1,5 | 3,8 | 2,8 |
| ბელორუსია — ჩეხეთი | 4,4 | 3,0 | 1,35 |
| ხორვატია — იტალია | 2,0 | 2,5 | 2,5 |

ფსონების შესაძლო ცვლილებები დააზუსტეთ ადგილზე

## თამაშის წესები

თამაშში მონაწილის მიზანია გამოიცნოს მატჩის ძირითადი დროის შედეგი. მატჩის გასწვრივ მითითებულია კოეფიციენტი ყოველ შესაძლო შედეგზე. შედეგის გამოცნობის შემთხვევაში მიიღებთ თანხას, რომელიც დადებული თანხისა და კოეფიციენტის ნამრავლის ტოლია. ფსონები მიიღება მატჩის ანგარიშის გამოცნობაზეც (კოეფიციენტი — 4,0). ფსონის მინიმალური თანხაა — 1000 მანეთი.

ფსონები მიიღება როგორც ცალკეულ მატჩზე, ასევე რამდენიმე მატჩზე ერთდროულად. თუ ფსონს ჩამოხვალთ რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე, თქვენი კოეფიციენტი ცალკეული შედეგების შესაბამისი კოეფიციენტების ნამრავლს შეადგენს (მეათედის სიზუსტით, დამრგვალების გარეშე).

არათანაბარი სიძლიერის გუნდების შეხვედრისას მატჩის გასწვრივ შეიძლება მითითებული იყოს ანგარიში და, შესაბამისად, მატჩის შედეგიც განისაზღვრება ამ ანგარიშის გათვალისწინებით.

ერთი და იგივე მატჩის შეტანა ერთ ვარიანტში ორი სხვადასხვა სახით (მაგ: ლაციო — პარმა 1, და პარმა — ლაციო 2-1) არ შეიძლება, კოეფიციენტები არ გამრავლდება. კოეფიციენტები მრავლდება მხოლოდ ერთი და იგივე სახის პროგნოზებისთვის: შედეგი — შედეგზე, თასის ალება — თასის ალებაზე და ა.შ.

თუ მატჩი ჩატარდა დანიშნულ თარიღზე ადრე, მატჩის ჩატარების შემდეგ ჩამოსული ფსონები, მიუხედავად მასში აღნიშნული შედეგისა, დაბრუნდება უკან. ფსონები უქმდება მაშინაც, თუ მატჩი გადაიდო, შეიცვალა მასპინძელი გუნდი ან არ დამთავრდა (ჩაიშალა). თუ ასეთი მატჩები შეტანილია სხვა მატჩებთან ერთად ორ ვარიანტში, მაშინ ვარიანტი განიხილება ამ თამაშის გარეშე. თუ მატჩი დამთავრდა, მისი შედეგი დაფიქსირდა, შემდეგ კი იგი გაპროტესტდება და გადათამაშდება, მოგებები გაიცემა პირველი მატჩის შედეგის მიხედვით. თუ ფსონი დადებულია გუნდის შემდგომ ეტაპზე გასვლაზე და თამაშის შედეგად გუნდი გავა კიდევაც, შემდეგ კი რაიმე სანქციების გამო შემდეგ ეტაპზე გასულად სხვა გუნდი ჩაითვლება, მოგებები გაიცემა თამაშის შედეგად შემდეგ ეტაპზე გასულ გუნდზე. თუ ტურში არ ჩატარდება რომელიმე მატჩი, ფსონი კი დადებულია გატანილი გოლების რაოდენობაზე, მოგება გაიცემა ან ფსონი წაგებულად ჩაითვლება, თუ ამ მატჩის შედეგი გავლენას ველარ ახდენს პროგნოზის გამოცნობაზე. სხვა შემთხვევაში ფსონი ბრუნდება უკან.

მოთამაშე პასუხისმგებელია ქვითრის სწორად შევსებისთვის. თუ ქვითრის ორი ნაწილი განსხვავებულად არის შევსებული, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ტოტალიზატორში ჩაბარებულ ნაწილს.

მოგებები გაიცემა და ფსონები უკან ბრუნდება ერთი კვირის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ, ქვითრის გარეშე და არასწორად ან არასრულად შევსებულ ქვითრებზე მოგებები არ გაიცემა. თუ ქვითარში არ არის მითითებული თანხა, ფსონები ჩაითვლება მისი მინიმალური ოდენობით (1 000 მანეთი).

ფსონები მიიღება: სამშაბათს, ოთხშაბათს, პარასკევს და შაბათს 13-დან 16 საათამდე სასტუმრო „აჭარის“ ფოიეში.

| | |1|2|3|4|5|6|7|8|9|10|11|12|13|14|15|16|17|18|19|20|21|22|
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
|1|ALBACETE BALOMPIE|■||||||||||||||||3-2||||4-0||
|2|RCD ESPAÑOL BARCELONA|1-0|■||||||||||1-0||||3-1|||||||
|3|FC BARCELONA|||■||||||2-0|||||||||||||2-2|
|4|ATHLETIC DE BILBAO||||■||2-1||0-2||||4-0|||||||||||
|5|SD COMPOSTELA|||||■||4-0|||||||||||||||1-0|
|6|SPORTING GIJON|3-0|||||■||||||4-2|||||||||||
|7|DEPORTIVO LA CORUÑA|5-0||||||■|||||||||2-0|||3-0||||
|8|ATLETICO DE MADRID||||||2-0||■||||||[illegible]|||||||||
|9|RAYO VALLECANO|||||||||■|1-5|||||1-2||||3-2||||
|10|REAL MADRID CF|||1-1|1-2||||||■|2-3||||||||||||
|11|REAL OVIEDO||||0-0|||||2-0||■||||0-1||||||||
|12|RACING SANTANDER||||||||0-4||||■|||||1-1||||||
|13|REAL ZARAGOZA|||0-3||1-0||||||1-0||■||||||||||
|14|REAL SOCIEDAD||0-1||||2-0||||||||■|||||||||
|15|REAL BETIS SEVILLA||||||||||0-0|||3-1||■||||||||
|16|SALAMANCA||||||||||||||||■||||0-0|0-1||
|17|SEVILLA FC||||||||||||||2-1|||■|0-1|||||
|18|CD TENERIFE||1-4|||||1-1|0-0||||||||||■|||||
|19|VALENCIA CF|||||||||||||0-0|||||1-0|■||||
|20|REAL VALLADOLID|||0-2||0-0|||||||||||||3-0||■|||
|21|RC CELTA VIGO|||||0-1|||||||||1-1||||2-2|||■||
|22|MERIDA|||||||||||||||1-1|0-0|||0-2|||■|

| | |1|2|3|4|5|6|7|8|9|10|11|12|13|14|15|16|17|18|
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
|1|ATALANTA BERGAMO|■||||||||1-3||1-1|2-0|||||||
|2|AS BARI||■|||||1-0||1-1|||||3-3|||||
|3|US CAGLIARI|||■|||||||||||0-1||||0-0|
|4|US CREMONESE||||■||0-0|||||||0-1||||||
|5|AC FIORENTINA|||3-1|3-2|■||||||||||2:0||||
|6|SAMPDORIA|||1-2|||■|||||3-0||1-1||||||
|7|AC MILAN|3-0||||||■|||||||||2-1|||
|8|INTER MILANO||||||||■||||0-0|||4-0||1-0||
|9|SSC NAPOLI||||||||2-1|■|2-0|||||||||
|10|AC PADOVA|||||||1-2|||■|1-3||||1-1||||
|11|AC PARMA|||||3-0|||2-1|||■||||||||
|12|PIACENZA||3-2||||||||||■||||||0-4|
|13|AS ROMA|0-1||||||1-2||||||■|0-0|||||
|14|LAZIO ROMA||||||||||||4-1||■||2-2|||
|15|AC TORINO||3-1||||1-1|||||||||■||||
|16|UDINESE|||1-0|3-2||||||||||||■|1-1||
|17|VICENZA|||||1-0|||||2-1|||||||■||
|18|JUVENTUS TORINO||||4-1|||||1-1||||||||1-0|■|

| | |1|2|3|4|5|6|7|8|9|10|11|12|13|14|15|16|17|18|19|20|
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
|1|FC ARSENAL|■|||||||||||1-1||1-1|||4-2||1-0||
|2|ASTON VILLA||■||1-0|||||||3-1|||1-1||||||2-0|
|3|BLACKBURN ROVERS||1-1|■|||5-1|||||1-2||||1-0||||||
|4|BOLTON WONDERERS|||2-1|■||||||||1-1|1-3||0-1||||||
|5|FC CHELSEA|1-0||||■|2-2|0-0||||||||||3-0||||
|6|COVENTRY CITY|0-0|0-3||||■||||2-1||||1-1|||||||
|7|FC EVERTON|0-2||||||■||||2-3||1-3||||2-0||||
|8|LEEDS UNITED||2-0||||||■|1-0||||||1-2|2-0|||||
|9|FC LIVERPOOL|||3-1|5-2|||||■||||||1-0|1-0|||||
|10|MANCHESTER CITY|0-1||||||0-2|||■||0-1||||||1-1|||
|11|MANCHESTER UNITED||||3-0|||||2-2||■||||||||2-1|3-1|
|12|MIDDLESBROUGH|||2-0||2-0|2-1||||||■|||||0-0||||
|13|NEWCASTLE UNITED|||||2-0|3-0||||3-1||1-0|■||||||||
|14|NOTTINGHAM FOREST|||||0-0||3-2|||3-0||||■|||||1-1||
|15|QUEEN'S PARK RANGERS||||||||||1-0|||||■|0-3||2-3||0-3|
|16|SHEFFIELD WEDNESDAY|||2-1||||||||0-0||0-2|||■||1-3|||
|17|FC SOUTHAMPTON||||||||1-1|||||1-0|3-4|||■||0-0||
|18|TOTTENHAM HOTSPUR||0-1||||||2-1|1-3|||||||||■||3-1|
|19|WEST HAM UNITED|||||1-3||2-1|1-2||||||||||1-1|■||
|20|FC WIMBLEDON||||3-2||||2-4|1-0|||||||2-2||||■|

| | |1|2|3|4|5|6|7|8|9|10|11|12|13|14|15|16|17|18|
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
|1|FORTUNA DUSSELDORF|■||||2-2|||2-2|||1-1|||||||1-0|
|2|SV WERDER BREMEN|1-1|■|||||||1-1|1-0|||||2-0||||
|3|BORUSSIA DORTMUND|||■||||||1-1||||2-1|3-1|||6-3||
|4|FC ST. PAULI|||0-3|■|||||1-2||||||4-2||1-3||
|5|FC HANSA ROSTOCK|||3-2|2-0|■|||||||1-2|2-3||||||
|6|EINTRACHT FRANKFURT|||3-4|||■|||3-1|2-2|||||4-2||||
|7|SC FREIBURG||0-1||0-2||2-0|■|||||||||1-2|||
|8|HAMBURGER SV||3-3|||1-1|||■||0-0||||||1-1|||
|9|1. FC KAISERSLAUTERN|||||||||■||1-1||1-3|2-3|||1-1||
|10|KARLSRUHER SC|3-1||||0-2|||||■|1-0|||2-6|||||
|11|1. FC KOLN|||||||1-1|3-2|||■|||||0-1||0-0|
|12|BAYER 04 LEVERKUSEN||2-2|1-1|1-1||2-0||||||■|||||||
|13|BORUSSIA MÖNCHENGLADBACH||||2-4||4-1|1-0|||||0-0|■||||||
|14|FC BAYERN MÜNCHEN|||||||2-0|3-2||||1-0||■||||2-0|
|15|TSV 1860 MÜNCHEN|2-1||||||||||2-1|||0-2|■||1-1||
|16|FC SCHALKE 04|1-1||||1-3|||||2-1|||||1-1|■|||
|17|VfB STUTTGART|||||||3-1|||||1-4|5-0||||■|0-0|
|18|UERDINGEN||3-0||||1-1||1-1||||||||0-1||■|

ეროვნული ბიბლიოთეკა

1995 NIPPON

# ეს იყო იაპონიაში

ძიუდოისტთა მსოფლიო ჩემპიონატის წინ ქართველი მოჭიდავეები რომ დიდ სამზადისში იყვნენ, გულხელდაკრეფილნი არც ჩვენ ვყოფილვართ. ჩვენ ჩვენებურად ვიჭერდით თადარიგს — ბორჯომში სეოკ-ის მიერ მოწყობილ შეკრებაზე მყოფ ძიუდოისტებს ჩავაკითხეთ და გარდა იმისა, რომ მათ სამზადისზე ვრცელი ფოტორეპორტაჟი შემოგთავაზეთ, თითოეული ძიუდოისტის პორტრეტიც შემოვინახეთ — აბა, წინასწარ ვინ იცოდა, რომელი მათგანის სურათი დაგვჭირდებოდა. ბოლოს ვისი ფოტოც დაგვჭირდა, მკითხველმა კარგად იცის. თუმცა, გიორგი ვაზაგაშვილის სურათი ცოტა ადრე გადაღებული შემოგთავაზეთ, რაკილა იგი ბორჯომში არ დაგვხვდა. ძველებურად შინ ვარჯიშობს და დამოუკიდებლად ემზადებაო. კარგადაც მომზადებულა, რაზეც მისი ვერცხლის მედალი მეტყველებს.

— შინ მამის ზედამხედველობით ვვარჯიშობ, — გვეუბნება იაპონიიდან დაბრუნებული **გიორგი ვაზაგაშვილი**. — მამამ მშვენიერი პირობები შემიქმნა. დარბაზიც მაქვს, ლეიბებიც, „მოწინაალმდეგის“ ფიტულებიც...

**— კი მაგრამ, ტიკინასთან ჭიდაობით რა ხეირი გაქვს, სპარინგ-პარტნიორები, „ცოცხალი“ მეტოქე ხომ გჭირდება?**

— „ცოცხალ“ მოჭიდავეებთან გორის სპორტდარბაზში ვვარჯიშობ, ან შინ მომყავს ისინი.

ისე, ცოტა უცნაურად გვეჩვენა ის ამბავი, რომ იაპონიაში ჩვენი ძიუდოისტებიდან ორმა მოიპოვა მედალი და ამათგან ერთს, დავით ხახალეიშვილს სულ ახალი განახლებული აქვს ნაკრებთან ვარჯიში, მეორე კი დამოუკიდებლად ემზადება. ისინი კი, ვინც ნაკრებთან არიან ყველა შეკრებაზე და მწვრთნელებიც თავს ახვევიან, უმედლოდ ჩამოვიდნენ.

როცა ამაზე სიტყვა ჩამოვუგდეთ ნაკრების უფროს მწვრთნელ **ბიძინა მაზიაშვილს**, კითხვა აქეთ დაგვიბრუნა, რა არის ამაში უცნაურაო. მერე განმარტა, ბიჭები ხომ სულ ჩვენთან არ არიან, ყველა თავის მწვრთნელთან ვარჯიშობს, ვაზაგაშვილმა კი გვითხრა, შინ დამოუკიდებლად მირჩევნია ვარჯიში, მთავარი შედეგია და თქვენც მედლები მომთხოვეთო.

ტოკიოში გამარჯვებისთვის 108 ქვეყნის 350 ძიუდოისტი იბრძოდა. რაკი ამ ჩემპიონატს ყველა ოლიმპიური პრიზმით უჭვრეტდა და აქ მედლების გარდა ატლანტის ლიცენზიებიც „რიგდებოდა“ რვა უძლიერესში მოხვედრილი სპორტსმენებისთვის, ალბათ უპრიანი იქნება ჩვენი ძიუდოისტების გამოსვლებზე დაწვრილებით შევჩერდეთ, მიით უმეტეს, რომ მათ, ვინც ოლიმპიური საგზური ვერ მოიპოვა, კიდევ აქვთ შანსი და ვიმედოვნებთ, მას უთუოდ გამოიყენებენ. ახლა კი მივყვეთ წონითი კატეგორიების მიხედვით:

**60 კგ. გიორგი ვაზაგაშვილი.** გავიხსენოთ იაპონიამდე მისი ტიტულები: სსრ კავშირის ორგზის ჩემპიონი ახალგაზრდებში, საკავშირო სპარტაკიადის ჩემპიონი, ევროპის ორგზის ჩემპიონი ახალგაზრდებში, მსოფლიოს ჩემპიონატის მესამე პრიზიორი ახალგაზრდებში, ევროპის მეორე და მსოფლიო ჩემპიონატის მესამე პრიზიორი კაცებში. ასეთი მიღწევების მქონესაგან იაპონიაშიც მედალს ველოდით. როგორც თვითონ გიორგიმ გვითხრა, იგი ფინალში ჭიდაობას გეგმავდა, მაგრამ იქ გამარჯვებისთვისაც მზად ვიყავიო.

პირველ წრეში კორეელ კიმ იონგს შევხვდი, — გვიამბობს ვაზაგაშვილი — იგი სანკტ-პეტერბურგში კეთილი ნების თამაშებში გამარჯვებული, აზიის ჩემპიონი და სტუდენტთა მსოფლიო უნივერსიადის ოქროსმედალოსანია. მას ერთ წუთში ვაზარით ვუგებდი, 3 წუთში კი გდებით წმინდა გამარჯვებას მივაღწიე. მეორე წრეში ინგლისელი ნაიჯელ დონაჰიუ შემხვდა. ეს ის ნაიჯელია, წლეულს გაზაფხულზე ბირმინგემში ევროპის ჩემპიონატის ფინალში რომ გამამწარა, უფრო სწორად, მის მიმართ მაშინ მსაჯებმა გამოიჩინეს სიმპათია და იპონით მიაკუთვნეს გამარჯვება. ახლა მასთან სრულფასოვანი რევანში ავიღე. ჯერ გაფრთხილება მივალებინე, მერე მასაც გდებით მოვუღე ბოლო. მესამე წრეში ახლა თურქი ჰუსეინი შემხვდა. წინათ იგი ჩეჩენი ბისულთანოვი იყო — 1992 წლის ევროპის ჩემპიონატის მეორე პრიზიორი და საბჭოთა კავშირის ჩემპიონი. ჩვენმა ჭიდილმა თანაბარ ბრძოლაში ჩაიარა, ბოლოს მსაჯებმა ხელი ჩემსკენ გამოიშვირეს და ჰანტეით გამარჯვება მომაკუთვნეს. მეოთხე ბრძოლამ ბელარუს ნათიქ ბაგიროვთან მომიწია. ესეც ევროპის ჩემპიონატის პრიზიორი იყო, ხოლო სამბოში მსოფლიო ჩემპიონი. ესეც დავაგდე და ვაზარით გავიმარჯვე. და ბოლოს — ფინალიც. აქ ჩემი მეტოქე ნიკოლაი ოჟეგინი იყო. მანამდე, ნახევარფინალში მან იაპონელ მსოფლიო ჩემპიონს სონოდას ბდღვირი ადინა. ოჟეგინს 1992 წელს კალინინის საერთაშორისო ტურნირში შევხვდი და ვაჯობე. იგი ჩემთან ახლაც ვერას გახდა, მსაჯებმა კი დამამარცხეს, თუმცა მე ბევრად აქტიურად ვჭიდაობდი, მესამე წუთზე გდება არ ჩამითვალეს. ერთხელ ვბოჭავდი, ვახრჩობდი კიდეც. ეტყობა, ისიც ხედავდა, რომ აგებდა და ბოლოს გააქტიურდა, მაგრამ მიზანს ვერ მიაღწია. გვერდითმა მსაჯებმა გამარჯვება მას მიაკუთვნეს.

**— კი მაგრამ, რას გერჩოდნენ მსაჯები? ეს რომ იაპონელთან დაგმართნოდა, კიდევ გასაგები იქნებოდა.**

— საქმეც ის არის, რომ ჩვენ იაპონიაში მსაჯი არ გვყოლია, რუსეთი კი ორი არბიტრით იყო წარმოდგენილი და ეტყობა მათი გავლენაც ამგვარად გამოიხატა. ამას გარდა თავად იაპონელებსაც რუსის გამარჯვება ერჩივნათ, რაკილა სწორედ ოჟეგინთან დამარცხდა. ჰოდა, თუ დამარცხებაა, ჩემპიონთან დამარცხება სჯობს.

ჩვენ კი იმით ვინუგეშოთ თავი, რომ გიორგი ვაზაგაშვილი უგვირგვინო ჩემპიონია. იგი გვაიმედებს, ოლიმპიურ თამაშების ჩემპიონი გავხდები და თუ იქ ოჟეგინს გადავეყარე, იმასაც დავამარცხებო.

**65 კგ. გიორგი რევაზიშვილი.** სამწუხაროდ იგი პირველივე წრეში დამარცხდა, ველარც სანუგეშო ტურნირში მოხვდა და ასპარეზობაც ამით დაასრულა.

— ბედი არ გინდა, კაცო, ბედი?! — წამოენთო ძიუდოს ფედერაციის გენერალური მდივანი **ანზორ მარტყოფლიშვილი**. რევაზიშვილი იმ გათურქებულ ჩეჩენს მანამდე ოთხჯერ შეხვდა და ოთხჯერვე მოუგო, თანაც სამჯერ წმინდად. მაგრამ ახლა, როცა ყველაზე მეტად იყო საჭირო გამარჯვება, სწორედ მაშინ დამარცხდა.

**71 კგ.** ამ წონაში საქართველოს ღირსებას იცავდა გურამ მოდებაძე, რომელიც საბჭოთა კავშირის ჩემპიონი იყო ახალგაზრდებშიც და კაცებშიც, იყო საკავშირო სპარტაკიადის ჩემპიონიც, საერთაშორისო ტურნირების გამარჯვებულიც. მერე, საქართველოში რომ ყველაფერი თავდაყირა დადგა, გურამი ძიუდოს ჩამოშორდა. საჭიდაოდ აღარც ოჯახური პირობები მიწყობდაო ხელს, სამი თვის წინათ კი ვარჯიში განაახლა.

ახლა მის ნაამბობი გავიხსენოთ:

— პირველ წრეში ვისვენებდი, მეორეში კი შევხვდი უნგრელ ჰაიტოშს, ვისაც ევროპის ჩემპიონატშიც გაუმარჯვია და მსოფლიო ჩემპიონატის პრიზიორიც გამხდარა. თავდაპირველად იგი კოკას და იუკოს მიგებდა. მერე გააფრთხილეს და შიდო და ჩუი აკიდეს. შეხვედრის დამთავრებამდე 20 წამით ადრე კი დავაგდე და წმინდა გამარჯვება მოვიპოვე. მესამე წრეში ჩემი მეტოქე ახალზელანდიელი გორკინ სტერნერი იყო. მისი სახელი აქამდე არც გამიგონია, იქნებ იმიტომ, რომ 2 წელი ძიუდოს ვიყავი ჩამოშორებული. მას იუკო მოვუგე მეოთხე წრეში, უკვე მეოთხედფინალში კორეელ დენ კვაკს გადავეყარე, არც მისი ტიტულები ვიცი, ახლა კი იგი მსოფლიოს ჩემპიონატის მეორე პრიზიორია — იგი ფინალში იაპონელ დასუკე ჰიდეშიმასთან დამარცხდა. ჩვენი ბრძოლის 4 წუთი და 40 წამი ისე მიილია, რომ ქულაც ვერ ავიღეთ. სამაგიეროდ ორივეს შიდო მოგვცეს. თითქოს ასეც უნდა დასრულებულიყო შეხვედრა, მაგრამ ოთხიოდე წამით ადრე კოკაზე მოვყევი და წავაგე. მე მესამე ადგილისთვის სანუგეშო ბრძოლა უზბეკ სტერბანთან მომიწია. შებოჭვით წავაგე და IX ადგილზე დავრჩი. გული მწყდება, რომ ოლიმპიური ლიცენზიის მოსაპოვებლად ერთი ნაბიჯილა დამაკლდა, მაგრამ იმედს სრულებითაც არ ვკარგავ. მისი მოპოვება გაისად ევროპის ჩემპიონატზეც შეიძლება, რისთვისაც სამეულში მოხვედრაა საჭირო. ლიცენზიას „ა“ კატეგორიის ტურნირში გამარჯვებაც იძლევა.

**78 კგ.** სოსო ლიპარტელიანმა ზედიზედ მოიპოვა წმინდა გამარჯვებები ლატვიელ რიმას რობერტასთან და არგენტინელ გარსიასთან, მერე თავადაც ასე დამარცხდა ისრაელის წარმომადგენელ ოპენ სმადგასთან, მაგრამ დამამშვიდებელ ტურნირში პორტუგალიელ რამოსს აჯობა (იუკო), მერე კი ისევ დამარცხდა, ამჯერად იუგოსლავ რადულოვიჩთან. საბოლოოდ იგი VII-VIII ადგილებზე გავიდა და ატლანტის ლიცენზიაც მოიპოვა. თუ გავიხსენებთ, რომ ლიპარტელიანმა ორწლიანი დისკვალიფიკაციის მერე ამ გაზაფხულზე განაახლა შეჯიბრებებზე გამოსვლა, იაპონიაში მისი შედეგით კმაყოფილები უნდა ვიყოთ.

**86 კგ.** ამ წონის მოჭიდავეთა შორის ივერი ჯიქურაული გამოდიოდა. მისი სპორტული კარიერა ისე აეწყო, რომ თანაგუნდელები მუდამ მეორეს უწოდებენ. მართლაც, იგი არის ევროპის ახალგაზრობის მეორე პრიზიორი, ევროპის ჩემპიონატის ვერცხლისმედალოსანი ახალგაზრდებში, ასევე ახალგაზრდებში მსოფლიო პირველობაზე მეორე ადგილზე გასული. წლეულს ევროპის ჩემპიონატზეც, უკვე კაცებში, ისევ მეორე იყო. ჰოდა, გულის სიღრმეშიც იაპონიაშიც ვერცხლის ველოდით. პირველ წრეში დასვენების მერე ივერი ჯიქურაული მეორეში რუსლან მაშურენკოსთან (უკრაინა) ჯერ იუკოთი იგებდა, მერე კი მეტოქემ მახრჩობელაზე დაიჭირა და დამარცხდა. სამწუხაროდ, მომდევნო შეხვედრაში თვითონ მაშურენკომაც წააგო და ივერი ჯიქურაულმა სანუგეშო ბრძოლის შანსიც დაკარგა.

**95 კგ.** აქ მამუკა ლობჟანიძემ პირველ შეხვედრაში გერმანელ ახელ რობერტშტეინს 3 წუთში წმინდად მოუგო, მეორეში რუს სერგეევს შეეჭიდა და იუკო წააგო. რუსი ფინალშიც გავიდა და მეკლუდს ბრძოლის [illegible] საშუალება მიეცა. აქ მეკლუდმა [illegible] წმინდად მოუგო, მერე კი [illegible]ნთან თავად დამარცხდა 0:10 და IX ადგილზე გავიდა.

**+95 კგ.** როგორც გურამ მოდებაძემ გვითხრა, ფრანგებს, რომლებიც კომპიუტერთან მჯდარან, საქმე ისე გაუჩარხიათ, რომ თავიანთ თანამემამულე დუიესთვის შედარებით სუსტი ჯგუფი გაუკვარახჭინებიათ. ძლიერში კი დავით ხახალეიშვილი გაუმწესებიათ. იგი პირველსავე წრეში იაპონელ ოგავას შეხვდა, სწორედ იმ ოგავას, ბარსელონის ოლიმპიურ თამაშებზე ფინალში რომ წმინდად სძლია. სამწუხაროდ, დავითი ახლა დამარცხდა. ამის მერე სძლია ბელგიელ ვან ბარნეველდს (ვაზარი), ჩინელ ლიუს (სუფთად), ესტონელ პერტელსენს (იუკო) და მესამე ადგილისთვის წმინდად დაამარცხა ესპანელი პერესი.

კაცმა რომ თქვას, ხახალეიშვილის დღევანდელი მომზადების გათვალისწინებით რვა უძლიერესში მოხვედრაც წარმატება იქნებოდა, მესამე ადგილზე გასვლა კი მართლაც დიდი ვაჟკაცობაა.

**აბსოლუტური პირველობა.** ასეთი პირველობა ოლიმპიურ თამაშებზე რაკი არ ტარდება, იაპონიაში ამ კატეგორიის მოჭიდავეებისთვის ოლიმპიური ლიცენზიები არც იყო გათვალისწინებული. მაგრამ აბსოლუტური პირველობა მაინც მუდამ დიდ ინტერესს იწვევს და გამონაკლისი არც ეს შეჯიბრება იყო. აქ ალექსი დავითაშვილმა პირველ წრეში დაისვენა, მერე კი ისლანდიელი ტორლეიფსონი სძლია (ვაზარი). მომდევნო ბრძოლა გამართა ეგვიპტელ შარაბანთან, ვისაც თბილისის საერთაშორისო ტურნირზე საპრიზო ადგილი მოეპოვებინა. დავითმა ეს შეხვედრაც მოიგო (წმინდად). ეგვიპტელის მერე ჩვენი მოჭიდავე რუს კოსოროტოვს შეხვდა. 4 წუთისა და 40 წამის მერე, როცა დავითაშვილი ვაზარით იგებდა, მას მოულოდნელად ზღართანი მოუდენია. თვითონ კოსოროტოვიც დაბნეულა, მე ილეთი არ გამიკეთებია და ეს კაცი რამ წააქციაო. მსაჯმა დავითის უნებლიე დავარდნა ძვირად შეაფასა და კოსოროტოვს იპონით გამარჯვება მიაკუთვნა. სამწუხაროდ, დამამშვიდებელ ბრძოლაში დავითაშვილი ლუქსემბურგელ მიულერთან წმინდად დამარცხდა და IX ადგილზე დარჩა.

ავთანდილ ბურასაშვილი

## ოლიმპიური და მსოფლიო ჩემპიონები

## ძიუდო



ხახალეიშვილი



ტოტიკაშვილი



კურტანიძე



ხუბულური



ჩოჩიშვილი



ხაბარელი



| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | აბსოლუტური | | |
| | | | | | | | ს. ნაცუი იაპონია | 1956 მჩ | |
| | | | | | | | კ. სონე იაპონია | 1957 მჩ | |
| | | | | | | | ს. ნაცუი იაპონია | 1958 მჩ | |
| | | | | | | | ა. გეესინკი პოლანდია | 1961 მჩ | |
| | | 68 | 80 | | | +80 | აბსოლუტური | | ქართველების ნადავლი |
| | | ტ. ნაკატანი იაპონია | ი. ოკანო იაპონია | | | ი. ინოკუმა იაპონია | ა. გეესინკი პოლანდია | 1964 ო | III — ანზორ კიკნაძე (აბს), III — ფარნაოზ ჩიქვილაძე (+80) |
| | | ჰ. მაცუდა იაპონია | ი. ოკანო იაპონია | | | ა. გეესინკი პოლანდია | ი. ინოკუმა იაპონია | 1965 მჩ | II — ანზორ ქიბროწაშვილი (აბს), III — ანზორ კიკნაძე (აბს), |
| 63 | | 70 | 80 | | 93 | +93 | აბსოლუტური | | |
| ტ. სიძიოკა იაპონია | | ჰ. მინატოია იაპონია | ე. მარუკი იაპონია | | ნ. სატო იაპონია | ვ. რიუსკა პოლანდია | ა. მაცუნაგა იაპონია | 1967 მჩ | III — ანზორ კიკნაძე (+93) |
| იუ. სონოდა იაპონია | | ჰ. მინატოია იაპონია | ი. სონოდა იაპონია | | ფ. სასახარა იაპონია | ს. სუმა იაპონია | მ. სინომაკი იაპონია | 1969 მჩ | III — გივი ონაშვილი (+93) |
| ტ. კავაგუჩი იაპონია | | ხ. სუძავა იაპონია | ს. ფუძი იაპონია | | ფ. სასახარა იაპონია | ვ. რიუსკა პოლანდია | მ. სინომაკი იაპონია | 1971 მჩ | — |
| ტ. კავაგუჩი იაპონია | | ტ. ნომურა იაპონია | ს. სეკინე იაპონია | | შ. ჩოჩიშვილი სსრკ | ვ. რიუსკა პოლანდია | ვ. რიუსკა პოლანდია | 1972 ო | I — შოთა ჩოჩიშვილი (93), III — გივი ონაშვილი (+93) |
| ი. მინამი იაპონია | | ტ. ნომურა იაპონია | ს. ფუძი იაპონია | | ნ. სატო იაპონია | ჩ. ტაკასი იაპონია | კ. ნინომია იაპონია | 1973 მჩ | II — ჯიბილო ნიჟარაძე (+93), III — შენგელი ფიცხელაური (63) |
| ი. მინამი იაპონია | | ვ. ნევზოროვი სსრკ | ს. ფუძი იაპონია | | ჟ. ლ. რუჟე საფრანგეთი | ს. ენდო იაპონია | ჰ. უემურა იაპონია | 1975 მჩ | III — რამაზ ხარშილაძე (93), III — შოთა ჩოჩიშვილი (აბს) |
| ე. როდრიგესი კუბა | | ვ. ნევზოროვი სსრკ | ი. სონოდა იაპონია | | კ. ნინომია იაპონია | ს. ნოვიკოვი სსრკ | ჰ. უემურა იაპონია | 1976 ო | II — რამაზ ხარშილაძე (93), III — შოთა ჩოჩიშვილი (აბს) |
| 60 | 65 | 71 | 78 | 86 | 95 | +95 | აბსოლუტური | | |
| ტ. რეი საფრანგეთი | ნ. სოლოდუხინი სსრკ | კ. კაცუკი იაპონია | ს. ფუძი იაპონია | დ. ულჩი გდრ | თ. ხუბულური სსრკ | ი. იამასიტა იაპონია | ს. ენდო იაპონია | 1979 მჩ | I — თემურ ხუბულური (95), III — თამაზ ნამგალაური (71) |
| ტ. რეი საფრანგეთი | ნ. სოლოდუხინი სსრკ | ე. გამბა იტალია | შ. ხაბარელი სსრკ | ი. რეტლიბერგერი შვეიცარია | რ. ვან დე ვალე ბელგია | ა. პარიზი საფრანგეთი | დ. ლორენცი გდრ | 1980 ო | I — შოთა ხაბარელი (78), II — თემურ ხუბულური (95) |
| ი. მორივაკი იაპონია | მ. კასივაძაკი იაპონია | ჩონგ ხაგ პარკი კორეა | ნ. ადამსი ბრიტანეთი | ბ. ჩულუიანი საფრანგეთი | თ. ხუბულური სსრკ | ი. იამასიტა იაპონია | ი. იამასიტა იაპონია | 1981 მჩ | I — თემურ ხუბულური (95), III — დავით ბოდაველი (86) |
| ხ. ტლეცერი სსრკ | ნ. სოლოდუხინი სსრკ | ჰ. ნაკანისი იაპონია | ნ. ჰიკაგე იაპონია | დ. ულჩი გდრ | ა. პრეშელი გდრ | ი. იამასიტა იაპონია | ჰ. საიტო იაპონია | 1983 მჩ | III — თამაზ ნამგალაური (71), III — შოთა ხაბარელი (78) |
| ს. ჰოსოკავა იაპონია | ი. მაცუოკა იაპონია | ა ბიენ კუნი კორეა | ფ. ვინეკე გფრ | პ. ზაიზენბახერი ავსტრია | ხა იუნ ზუ კორეა | ჰ. საიტო იაპონია | ი. იამასიტა იაპონია | 1984 ო | — |
| ს. ჰოსოკავა იაპონია | ი. სოკოლოვი სსრკ | ა ბიენ კუნი კორეა | ნ. ჰიკაგე იაპონია | პ. ზაიზენბახერი ავსტრია | ჰ. სუგაი იაპონია | ჩო იონგ ჩული კორეა | ი. მასაკი იაპონია | 1985 მჩ | — |
| კიმ ე იუპი კორეა | ი. იამამოტო იაპონია | მ. სვეინი აშშ | ჰ. ოკადა იაპონია | ფ. კანიუ საფრანგეთი | ჰ. სუგაი იაპონია | გ. ვერიჩევი სსრკ | ნ. ოგავა იაპონია | 1987 მჩ | — |
| კიმ ე იუპი კორეა | ლი ჩონ ხენი კორეა | მ. ალექსანდერი საფრანგეთი | ვ. ლეჟიენი პოლონეთი | პ. ზაიზენბახერი ავსტრია | ა. მიგელი ბრაზილია | ჰ. საიტო იაპონია | — | 1988 ო | III — ამირან ტოტიკაშვილი (60), III — გიორგი თენაძე (71) |
| ა. ტოტიკაშვილი სსრკ | დ. ბეჟანოვიჩი იუგოსლავია | ტ. კოგა იაპონია | ბიონგ ჟუ კიმი კორეა | ფ. კანიუ საფრანგეთი | კ. კურტანიძე სსრკ | ნ. ოგავა იაპონია | ნ. ოგავა იაპონია | 1989 მჩ | I — ამირან ტოტიკაშვილი (60), I — კობა კურტანიძე (95), II — აკაკი კიბორძალიძე (აბს), III — გიორგი თენაძე (71) |
| ტ. კოსინო იაპონია | უ. კველმალცი გერმანია | ტ. კოგა იაპონია | დ. ლასკაუ რუმინეთი | ჰ. ოკადა იაპონია | ს. ტრენო საფრანგეთი | ს. კოსოროტოვი სსრკ | ნ. ოგავა იაპონია | 1991 მჩ | II — დავით ხახალეიშვილი (აბს), III — ვლადიმერ დგებუაძე (71) |
| ნ. გუსეინოვი სსრკ | რ. კარდოზუ ბრაზილია | ტ. კოგა იაპონია | ჰ. იოშიდა იაპონია | ვ. ლეჟიენი პოლონეთი | ო. კოვაჩი უნგრეთი | დ. ხახალეიშვილი სსრკ | — | 1992 ო | I — დავით ხახალეიშვილი (+95) |
| რ. სონოდა იაპონია | იუ. ნაკამურა იაპონია | ხუნ ჩანგი კორეა | კი იონგ ჩუნი კორეა | ი. ნაკამურა იაპონია | ო. კოვაჩი უნგრეთი | დ. დუიე საფრანგეთი | რ. კუბაცკი პოლონეთი | 1993 მჩ | II — დავით ხახალეიშვილი (+95), III — გიორგი ვაზაგაშვილი (60), III — დავით ხახალეიშვილი (აბს) |
| ნ. ოჟეგინი რუსეთი | უ. კველმალცი გერმანია | დ. ჰიდეშიმა იაპონია | ტ. კოგა იაპონია | კი იონგ ჩუნი კორეა | პ. ნასტულა პოლონეთი | დ. დუიე საფრანგეთი | დ. დუიე საფრანგეთი | 1995 მჩ | II — გიორგი ვაზაგაშვილი (60), III — დავით ხახალეიშვილი (+95) |

რაგბი

# იქ ვერ ივარგა და ბრუნდება!



საკმარისი იყო, წინა უქმეებზე რაგბის საერთაშორისო საბჭოს (ირბ) დაედგინა, უწინ ლიგაში გადასულ მორაგბეებს ამიერიდან რაგბში შეუზღუდავად მონაწილეობა შეეძლებათო, რომ გაჩაღდა დისკუსია, რომლის მონაწილეებიც შინ დასაბრუნებელი უძღები შვილების სიებს აზუსტებენ.

ამ სამშაბათს გაირკვა, რომ ლიგიდან რაგბში ნაღდად გადმოდის გერიქ მორგანი (ფოტოზე), ვინაც ვიდრე შარშან შემოდგომაზე ვინფილდის თასის ახალბედა „სამხრეთი ქვინზლენდის დამაქცევართ“ შეუამხანაგდებოდა, ავსტრალიის ნაკრებ „ვოლაბების“ შერკინების ლიდერი იყო. ამ 25 წლის ორმეტრიან და 115-კილოიან ხვადაგს, როგორც გაირკვა, ლიგაში ვერ უვარგია, გაპროფესიულებულ რაგბში კი კარგ გასამრჯელოს სთავაზობენ. ამიტომაა, რომ ლიგელი მამის — „პოგო“ მორგანის ბიჭი აღარ დაელოდება „დამაქცევრებთან“ თავის დროზე დადებული სამწლიანი კონტრაქტის გასრულებას და ისევ „ვოლაბებში“ აპირებს თამაშს, რომლებმაც უმორგანოდ წელს მსოფლიოს თასიც დაკარგეს და ბლედისლოუსიც.

გაძლიერების დიდი იმედი ჰქონია უელსსაც. ხვალ რომ ლიგის მსოფლიო თასი იწყება, მისი მონაწილე უელსის ნაკრების უკლებლივ ყველა წევრი ექს-მორაგბეა. ისინი თავის დროზე ფულს დახარბდნენ და იმიტომ მიაშურეს ჩრდილოეთი ინგლისის პროფესიულ კლუბებს. რჩეულთა ლიანგურმა დაკარგვამ უელსი ერთობ დააკნინა — ბოლო ორ მსოფლიო თასზე მეოთხედფინალშიც ვერ მოხვდა.

უელსური რაგბის მამებს უკვე ხმა მიუწვდენიათ 32 წლის ჯადოქარ ჯონათან დევისისთვის, ვინაც რაგბს 1989 წელს უგანა. ეს კაცი ბოლოსდაბოლოს უელსსა და რაგბში დაბრუნებას თუმლა კი ფიქრობს, მაგრამ 1997 წლის ზაფხულამდე კონტრაქტი აქვს გაფორმებული „ვორინგთონთან“, რომელიც მარტიდან ახალ ევროპულ სუპერ-ლიგაში უნდა ჩაებას. ხიფათი რომ იყნოსეს, ვორინგთონელებმა იქეთ შეუტიეს უელსელებს, დევისის გადასაბირებელი ფული სადა გაქვთ — ჯონათანთან, აბა, სად მოვა ინგლისელი რობ ენდრიუ, ვისი გასამრჯელოს სიდიდეც კარგად მოგეხსენებათო. თავად დევისს მეგობრების პირით შემოუთვლია, ლიგისა და „ვორინგთონის“ ერთგულება მმართებსო.

ლიგელთა დაბრუნება-დაუბრუნებლობა ნაკლებად ადარდებთ ინგლისელებს, რომლებსაც ნაკრებში ერთადერთი კაცი — „ვიგანის“ ზანგი გარემარბი მარტინ ოფაიერი თუ შეემატებათ. ამის გამოა, რომ ინგლისის რაგბის კავშირმა ლიგიდან რაგბში გადმოსვლა-დაბრუნებას ნახევარწლიანი ყადაღა დაადო, აქაო და საკითხი იურისტებს უნდა შევასწავლინოთ და თვით ლიგასაც მოველაპარაკოთო. მეტიც, უელსელ გერი პირსს ინგლისელი „ბებერი მუცლის ქარები“ ნებას არა რთავენ იორქშირის მავანი კლუბის სახელით ქვეყნის ჩემპიონატში იასპარეზოს, თუმც ამ ხელმოცარულმა ლიგელმა თავის დროზე მისჯილი სამწლიანი დისკვალიფიკაცია მოიხადა.

ზელანდიაში ცოტა სხვაგვარადაა საქმე. ნაკრების მწვრთნელ ლორი მეინსს ზვიადად განუცხადებია, თუმც თავის დროზე ფრანო ბოტიკას, მეთიუ რიჯის, ვაინგა თუიგამალას, ჯონ თიმუსა და ჯონ ქერვინის ღალატი ჩვენთვის დიდი დანაკარგი იყო, ახლა ისეთი ნაკრები გვყავს, რომ ამათი შემომატება ვეღარაფერს გვარგებს. ამიტომ რომც დაგვიბრუნდნენ, არა მგონია, „ოლ ბლექსში“ მოხვდნენო.

ყაფლან ჯანდიერი

## საქართველოს პირველობა

დიდი ოთხეული

1. X. აგრარული უნივერსიტეტი

**ყოჩები 20 (13) — გუმარი 37 (15)**

მსაჯი პაატა ნარიმანაშვილი

ყოჩები — 2ლ: 13 საკანდელიძე, 8 ურუშაძე; 2გ, 2ს: 10 ტეფნაძე

გუმარი — 5ლ: 15 ი. ლეჟავა, 13 ჩიქვინიძე, 7 ზ. ლეჟავა, * ზ. მოდებაძე, 14 ბ. იურინი; 3გ: ი. ლეჟავა (2), * მაჩიტიძე; 2ს: ი. ლეჟავა

**თბილისი 8 (0) — აია-პეი 13 (10)**

მსაჯი დიმიტრი ფულარია

თბილისი — ლ და ს: 14 ქავთარაშვილი

აია — ლ: 5 ლევიძე; გ, 2ს: 10 ნ. ძაგნიძე

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ლ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| აია-პეი | 17 | 14 | 3 | 0 | 403:143 | 46-10 | 31 |
| გუმარი | 17 | 11 | 3 | 3 | 308:202 | 30-15 | 25 |
| თბილისი | 17 | 6 | 2 | 9 | 326:257 | 44-22 | 14 |
| ყოჩები | 17 | 7 | 0 | 10 | 335:373 | 37-42 | 14 |

საქართველოს ნაკრების ლიკანში გამგზავრების გამო 6 ოქტომბრის ტური გადაიდო 25-ისათვის, 15 ოქტომბერს გერმანიასთან თამაშის შემდეგ კი საშინაო პირველობა 20 ოქტომბერს განახლდება, როცა ითამაშებენ ყოჩები — თბილისი და გუმარი — აია

| ბომბარდირები | | ლ | გ | ს | ა | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნ. ძაგნიძე | აია | 7 | 15 | 22 | 9 | 158 |
| ტეფნაძე | ყოჩები | 3 | 12 | 24 | 3 | 120 |
| ქავთარაშვილი | თბილ. | 10 | 5 | 13 | - | 99 |
| შ. მოდებაძე | გუმარი | 1 | 10 | 15 | 2 | 76 |
| მაჩიტიძე | გუმარი | 1 | 5 | 15 | - | 60 |
| ჩუბინიძე | აია | 9 | - | 3 | - | 54 |
| ჯიმშელაძე | აზოტი | - | 7 | 12 | - | 50 |
| ძამიაშვილი | ყოჩები | - | 11 | 6 | - | 40 |
| ე.ძაგნიძე | აია | - | 4 | 8 | 2 | 38 |
| იოვაძე | თბილისი | 6 | 2 | - | 1 | 37 |
| ი. ლეჟავა | გუმარი | 2 | 3 | 7 | - | 37 |
| ძნელაძე | თბილისი | 3 | 3 | 4 | 1 | 36 |

მელელოვეები: ქავთარაშვილი 10; ჩუბინიძე 9; ნ. ძაგნიძე, ალანია (თბილისი) და ბარძიმიშვილი (ყოჩები) 7; ძონენიძე (აია), იოვაძე, ურუშაძე (ყოჩები) და საკანდელიძე (ყოჩები) 6; მხეიძე (ყოჩები), ბუგიანიშვილი (გუმარი), ზვ. ლიპარტელიანი (აია) და ჩიქვინიძე (გუმარი) 5; ლ. ბერიშვილი (აზოტი) და ტყაბლაძე (აია) 4

მეარეკნეები: ნ. ძაგნიძე 9; ტეფნაძე 3; ე. ძაგნიძე, შ. მოდებაძე და ნეველიძე (თბილისი) 2

ლიგა

# შეუღლნარევი იუბილე

ხვალ "უემბლიზე" იხსნება ლიგის (რაგბის) საიუბილეო, ასი წლისთავისადმი მიძღვნილი მსოფლიო თასი. მასში 10 გუნდი მონაწილეობს.

ფავორიტი ორია — მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონი ავსტრალია (1957, 1968, 1970, 1975, 1977, 1988, 1992) და სამგზის ჩემპიონი ინგლისი (1954, 1960, 1972). სხვა ჩემპიონი ცამეტკაციან ბურთაობას არა ჰყოლია.

ბობოლებს გაუძალიანდებიან ახალი ზელანდია და უელსი. ამათ, თავის მხრივ, შეეჯიბრებიან პაპუასეთი და საფრანგეთი. ოვალური ბურთაობის ამ სახეობის დებიუტანტების — ფიჯის, სამოასა და ტონგას გამოსვლა დიდადაა დამოკიდებული იმაზე, თუ რა გუნდებს შეკრებენ. ასე, მაგალითად, სამოას სახელით ითამაშებს ვაინგა თუიგამალა, ტონგა კი დაალალატეს ჯონა ლომუმ, ვინაც ზელანდიურ რაგბს უერთგულა, აგრეთვე ჯიმ დიმოქმა (სიდნეის "ბულდოგები") და ჯონ პოპოატემ ("მენლი ვორინგა"), რომლებმაც ავსტრალიის "კენგურუთა" სახელით ირჩიეს თამაში. რაც შეეხება სამხრეთი აფრიკის "რაინოსეროზს" (მარტორქებს), ისინი მორაგბე "ქურციკებთან" ახლოსაც ვერ მივლენ.

შეჯიბრებისადმი სამზადისს კვალი დაატყო ლიგის სამყაროში მიმდინარე პეკერ — მერდოქის შინაომმა. ვითარება კრიტიკულია: ჩემპიონატის ათი მონაწილიდან ცხრა გადაუბირებია მერდოქის სუპერლიგას, მსოფლიოს ჩემპიონი ავსტრალია კი შუაზეა გახლეჩილი: ნახევარი მერდოქს ემხრობა, ნახევარი კი ძველებურადვე პეკერის ერთგულია.

ინტრიგას ამწვავებს ის, რომ ჩემპიონატში ავსტრალიას წარმოადგენს პეკერის ერთგული ფრაქცია — ავსტრალიის ლიგა, რომელმაც ნაკრებში არ შეიყვანა მერდოქის სუპერ-ლიგის არც ერთი მოთამაშე, რაკილა მაინც დიდ გულზეა და მათ გარეშეც ჩემპიონობის იმედი აქვს.

ამან კანბერის "ყაჩაღების" სუპერ-ვარსკვლავებს — ლორი დეილის, ბრედლი ქლაიდს, რიკი სთიუართს, სთივ ვოლთერსსა და ბრეთ მალინსს სასამართლოში აჩივლებინა. ხუთეულმა საქმე კი მოიგო, მაგრამ ნაკრებისა და "მენლის" მწვრთნელმა ბობ ფულტონმა მოღალატეები მაინც არ შეიწყნარა. სამაგიეროდ, 25 რჩეულში 9 კაცია "მენლიდან" და მხოლოდ 4 სიდნეის "ბულდოგთაგან", თუმც ლიგის დიდ ფინალში "ბულდოგებმა" დაამარცხეს "მენლი".

მერდოქელებმა პეკერელ ავსტრალიელებს სამაგიერო იმით გადაუხადეს, რომ 28 სექტემბერს ბრიტანეთს ჩასულ "კენგურუებს" საწვრთნელი მატჩებიც არ გაამართვინეს. ასე თუ მოაშთობენ კონკურენტს!

გუნდი დაასახელა ინგლისმაც. 9 მოთამაშე "ვიგანიდანაა", 11 — ახალბედაა, კაპიტანი კი ვიგანელი შონ ედვარდსია.

## ლიგის საიუბილეო მსოფლიო თასი

1995 წლის ოქტომბერი

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| შაბ | 7 | უემბლი | 18.00 | 1 | ავსტრალია | — | ინგლისი |
| კვი | 8 | ქიფლი | 17.30 | 1 | სამხ.აფრიკა | — | ფიჯი |
| | | ვორინგთონი | 21.00 | 2 | ახ.ზელანდია | — | ტონგა |
| ორ | 9 | კარდიფი | 23.00 | 3 | უელსი | — | საფრანგეთი |
| სამ | 10 | პალი | 21.15 | 2 | პაპუასეთი | — | ტონგა |
| | | გეითსჰედი | 23.15 | 1 | ავსტრალია | — | სამხ.აფრიკა |
| ოთხ | 11 | ვიგანი | 22.30 | 1 | ინგლისი | — | ფიჯი |
| ხუთ | 12 | კარდიფი | 23.00 | 3 | საფრანგეთი | — | სამოა |
| პარ | 13 | სენთ-ჰელენსი | 23.00 | 2 | ახ.ზელანდია | — | პაპუასეთი |
| შაბ | 14 | ჰადერსფილდი | 17.00 | 1 | ავსტრალია | — | ფიჯი |
| | | ლიდსი | 22.00 | 1 | ინგლისი | — | სამხ.აფრიკა |
| კვი | 15 | სვონზი | 21.00 | 3 | უელსი | — | სამოა |
| შაბ | 21 | ოლდ-ტრეფორდი | 18.00 | | პირველი ნახევარფინალი | | |
| კვი | 22 | ჰადერსფილდი | 18.00 | | მეორე ნახევარფინალი | | |
| შაბ | 28 | უემბლი | 18.00 | | ფინალი | | |

დრო ყველგან ჩვენებურია; მონაწილეთა წინ მითითებულია ჯგუფი

## ფორმულა-1

წინა კვირაში, მშობლიურ „ნიურბურგრინგზე“ ევროპის დიდი პრიზის მოგებით გერმანელმა პილოტმა მიხაელ შუმახერმა კარიერაში 283 ქულა მოაგროვა, ერთბაშად სამ ჩემპიონს (ჯიმ კლარკი 274, ხუან მანუელ ფანხიო 277,5 და ემერსონ ფიტიპალდი 281) გადაასწრო და ყველა დროის უძლიერესთა ათეულში შევიდა. რჩეულთა ამ სიაში მოხვედრა უძნელესი საქმეა და მძღოლებიც ამას მხოლოდ კარიერის ბოლოს თუ ახერხებენ. „შუმიმ“ ეს თავის მეოთხე ჩემპიონატში გააზერხა. საამისოდ მას 66 რბოლა ეყო, საშუალოდ ყოველ ეტაპზე 4 ქულაზე მეტს აგროვებს და ამ მაჩვენებლით მხოლოდ ლეგენდარულ ფანხიოს შედეგს (5,4) ჩამორჩება.

# ამისი ოთხი სხვების ბევრსა სჯობს



| | | |
|---|---|---|
| ალენ პროსტი (საფრანგეთი) | 798,5 | 4,0 |
| აირტონ სენა (ბრაზილია) | 614,0 | 3,8 |
| ნელსონ პიკე (ბრაზილია) | 485,5 | 2,4 |
| ნაიჯელ მენსელი (ბრიტანეთი) | 482,0 | 2,6 |
| ნიკი ლაუდა (ავსტრია) | 420,5 | 2,5 |
| ჯეკი სტიუარტი (ბრიტანეთი) | 360,0 | 3,6 |
| გერჰარდ ბერგერი (ავსტრია) | [illegible] | [illegible] |
| კარლოს რუტმანი (არგენტ) | 310,0 | 2,1 |
| გრეჰემ ჰილი (ბრიტანეთი) | 289,0 | 1,7 |
| მიხაელ შუმახერი (გერმანია) | 283,0 | 4,3 |

გერმანელი ვუნდერკინდი წლეულს „სამეფო რბოლების“ კიდევ ერთ ზე-ათეულშიც შევიდა, სადაც მძღოლები მოგებულ ეტაპთა ოდენობით არიან ჩამწკრივებული. „შუმიმ“ ეს 30 ივლისს და კვლავ შინ, ჰოკენჰაიმის ავტოდრომზე გამარჯვებით შეძლო, მერე კიდევ ორი მოგებაც წაუმატა და სადღეისოდ უკვე მეცხრე შედეგი აქვს.

| | | |
|---|---|---|
| პროსტი | 51 | 25,6 |
| სენა | 41 | 25,5 |
| მენსელი | 31 | 16,8 |
| სტიუარტი | 27 | 27,3 |
| კლარკი (ბრიტანეთი) | 25 | 34,7 |
| ლაუდა | 25 | 14,6 |
| ფანხიო (არგენტინა) | 24 | 47,1 |
| პიკე | 23 | 11,2 |
| შუმახერი | 17 | 25,7 |
| მოსი (ბრიტანეთი) | 16 | 16,7 |

პირველ სვეტში მოცემულია მოგებულ ეტაპთა რაოდენობა, მეორეში — გამარჯვებათა პროცენტი.


ნ. დუმბაძის სახელობის ბავშვთა ქალაქ „მზიურში“ გაიხსნა

საჩოგბურთო სკოლა «მ ზ ი უ რ ი»



სწავლებას უხელმძღვანელებს წარსულში ცნობილი ქართველი ჩოგბურთელი თეიმურაზ კაკულია.

ბავშვებთან იმუშავებენ კვალიფიციური ინსტრუქტორები.

ცნობებისათვის მიმართეთ სკოლის ადმინისტრაციას (ჭავჭავაძის I ჩიხი, ბავშვთა ქალაქი „მზიური“, ჩოგბურთის კორტები).

ტელ.: 23-01-49


## აქეთური, იქითური

დღეს იწყება ჰოკეის ეროვნული ლიგის (ნჰლ) სეზონი. სთენლის თასის მფლობელმა „ნიუ-ჯერსი დევილზმა“ (ეშმაკებმა) წინა სეზონის უძვირფასესი მოთამაშე კლოდ ლემიო მიჰყიდა „კოლორადო ავალანშს“ ("ზვავს"). [illegible] პაუზის შემდეგ „პიტსბურგ პენგუინზს“ დაუბრუნდა ლიგის ოთხგზის ბომბარდირი მარიო ლემიო, ვისაც ზურგის ტკივილი, "კიბო" და სისხლნაკლულობა სჭირდა, მაგრამ მთლიანად განიკურნა. რაც შეეხება ლიგას, იგი მოურიგდა საერთაშორისო ფედერაციას, რომ 1998 წელს მოაწყობს 16-დღიან პაუზას, რომლის დროსაც ლიგის ვარსკვლავები ნაგანოს ზამთრის ოლიმპიადაზე თავ-თავიანთი ქვეყნების ნაკრებებში იასპარეზებენ.

*

ესპანელმა მიგელ ინდურაინმა ზედიზედ ხუთი „ტურ დე ფრანსი“ კი მოიგო, მაგრამ ამ ოთხშაბათს პირველად გახდა მსოფლიო ჩემპიონი, როცა კოლუმბიაში გამართულ 42-კილომეტრიან ჩქაროსნულ რბოლაში აჯობა თანამემამულე აბრამ ოლანოსა და გერმანელ უვე პეშლს. ქალთა ანალოგიური შეჯიბრი, ოღონდაც 26 კილომეტრზე, მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონის, 36 წლის ფრანგი ჟანი ლონგოს გამარჯვებით დასრულდა. კვირას ინდურაინი ერთხელაც დადგება სტარტზე — უმთავრეს საგზატკეცილო რბოლაში ჩაებმება.

*

საგაისო ავსტრალიის ღია პირველობის ორგანიზატორებმა ჯამურ საპრიზო ფონდად 9 მილიონი ავსტრალიური დოლარი დააწესეს და აგასის, სელეშისა და პირსის მონაწილეობაც დაიბევეს. თუმც ვაჟ და ქალ ჩემპიონებს ჰონორარი ტოლად ერგებათ, ადრეულ ეტაპებზე გავარდნილი ვაჟების გასამრჯელო იმავენაირი ქალების სარგოზე მეტი ყოფილა, რასაც ორგანიზატორები სანახაობათა ბაზრის კონიუნქტურით ამართლებენ.

*

13 ოქტომბერს მეჯიქ ჯონსონი ნბა-ს ექს-ვარსკვლავების გუნდით ტაივანს უნდა ეწვიოს შოუების გასამართად, მაგრამ ჩანკაიშელთა ჯანდაცვის ხელისუფლები ერთი პირობა დაეჭვებულან, იქნებ მაგ შიდსის გამომწვევი ვირუსის მატარებლის ქვეყანაში შემოშვება არა ღირდესო. ტაივანელების ბოლოს საკითხი მაინც დადებითად გადაუწყვეტიათ, ჯონსონის მაგალითზე ხალხს უკეთ ავუხსნით, შიდსი რა მუხთალი რამეაო.

*

იაპონიაში მიმდინარე ტანმოვარჯიშეთა მსოფლიო ჩემპიონატზე ჩინელები ბობოქრობენ, მსაჯები აშკარად გვჩაგრავენო, მაგრამ საერთაშორისო სატანვარჯიშო მაფიის მამა, რუსი იური ტიტოვი არა ტყდება. მავან ჩინელ ჩემპიონს მეათე ადგილი ისე უუკადრისია, რომ მსაჯი გაულახავს.

*

ნაიჯელ მენსელმა ორშაბათს გამართა ავტობიოგრაფიული წიგნის პრეზენტაცია და დამსწრეთ სხვათა შორის განუცხადა, რომ გაისად შეიძლება დაუბრუნდეს ასპარეზს, ოღონდ ფორმულა-1-ში თუ ინდიკარში, ჯერაც ვერ გადაუწყვეტია.


# სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოდის სამშაბათობითა და პარასკეობით. ინდექსი 66 441

მთავარი რედაქტორი
ზურაბ ფოცხვერია

რედაქტორი
თამაზ მიგრიაული

სარედაქციო კოლეგია:
გია ახალაძე
ილია ბაბუნაშვილი
ზაალ გიგინეიშვილი
(მთავარი რედაქტორის მოადგილე)
მამუკა კვარაცხელია
ზურაბ მეძველია
მერაბ რატიშვილი
მამუკა ჩიხლაძე
(ტექნიკური რედაქტორი)

კომერციული დირექტორი
გიორგი ოქრომჭედლიძე

დამფუძნებელი: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა „მარნ[illegible]“

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. 42, II კორპუსი, IV სართული. წერილებისა და სხვა საფოსტო გზავნილებისთვის: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29